

ანი წაქაქე



„ნისიგეს სსოპრეგის“ სირიული,  
არაბული და ქართული ვერსიები

„მეცნიერება“

1983



ქართული  
ენციკლოპედია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ბ. წარმოების სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

**ნანი წაქაქი**

**«ნისიმუს ცხოვრების» სირიული,  
არაბული და ქართული ვერსიები**

(გამოკვლევა, ტექსტები, თარგმანები)

„მეცნიერება“-  
თბილისი  
1983

**სკეპ-2000**  
**შემოწმებულია**



8 II  
83.3 IP  
899.962.I.09  
წ 275

- 1) ქახული ჭავჭავაძე
- 2) ქახული ხელნაწილები
- 3) საბჭოთა სტრუქტურა
- 4) სიხიული ხელნაწილები

„ნისიმეს ცხოვრება“ ავთოგრაფიული ნაწარმოებია, რომელიც შემონახულია სირიულ, არაბულ და ქართულ ენებზე.

თბულებას ლეგენდარული პროზის ნიმუშად თვლიან, რომელიც ისლამამდელ ეპოქაშია შექმნილი სირიულ ენაზე ეგვიპტეში არსებულ სირიულ სამონაზვნო წრეში.

გამოკველევაში შესწავლილია სირიული, არაბული და ქართული ტექსტები. ტექსტების შეჯერების შედეგად დაგროვილი მასალის ანალიზის საფუძველზე გამოყოფილია ვერსიათა რედაქციები, გარკვეულია მათი ურთიერთმიმართება და არაბული და ქართული თარგმანების წარმომავლობის საკითხი. გამოთქმულია თვალსაზრისის ძეგლის საერთო წარმომავლობის შესახებ. გამოკველვას ერთვის ტექსტები:

1. სირიული ვრცელი რედაქციის ქართული თარგმანი.
2. არაბული სინას მთისეული რედაქციის ტექსტი და მისი ქართული თარგმანი.
3. არაბული კარშუნული რედაქციის ტექსტი და მისი ქართული თარგმანი.
4. ქართული ვერსიის ტექსტი 19 ხელნაწერის ვარიანტებით.

რედაქტორი საქ.სსრ აკადემიის წ. კ. პროფ. კ.წერეთელი

70103 II4-82 © გამოცემლობა „მეცნიერება“  
M 607(06)-83 1983

ქ. შარტისის სახ. საბჭ.  
სსრ სახელმწიფო  
რესპუბლიკური  
ბიბლიოთეკა

K1883044

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

„ნისიმეს ცხოვრება“, ანუ როგორც იგი დასათაურებულია ქართულ ხელნაწერებში „ცხოვრება და განგება ნისიმესი, რომელი იყო ასული მეფისა მეგვტელისა და შემდგომ იქმნა მამამთავარ უდაბნოს მოძვარათა ზედა რიცხვით ოთხასთა წმიდათა მამათა“, ადრექრისტიანულ ეპოქაში შექმნილი ძეგლია, რომელიც სრული სახით შემონახულია სირიულ, არაბულ და ქართულ ენებზე. მოკლე ცნობები წმინდანის შესახებ მოიპოვება პალადი ელენოპოლელის „ლავსაიკონსა“ და ეფრემ ასურის „წმიდათა ცხოვრებებში“.

ა. ბაუმშტარკი ილარიას და ნისიმეს ცხოვრებებს განიხილავს, როგორც ლეგენდარული პროზის ნიმუშებს და მათ ორიგინალურ სირიულ ნაწარმოებებად თვლის, რომელნიც ისლამამდელ ეპოქაშია შექმნილი სირიაში არსებულ ეგვიპტურ სამონაზვნო წრეებში<sup>1</sup>.

თხზულების ქართული ვერსია პირველად შეისწავლა კ. კეკელიძემ, მან 1911 წელს გამოაქვეყნა გამოცვლევას ამ ძეგლის შესახებ და დაურთო ქართული ტექსტის რუსული თარგმანი<sup>2</sup>.

მკვლევარი შეეხო ძეგლის შედგენილობისა და წარმომავლობის საკითხს. მისი აზრით, პალადი ელენოპოლელის „ლავსაიკონში“ მოცემული ცნობები გამოიყენა უცნობმა აგოგრაფმა და შექმნა თხზულება, რომელიც მხოლოდ ქართულ ენაზე შემონახული იგი ვარაუდობს, რომ ქართულ ენაზე იგი ნათარგმნია კოპტურიდან. ამ ვარაუდის

1 Baumstark A. *Geschichte der Syrischen Literatur*, Bonn, 1922, გვ. 192.

2 Кекелидзе К., Эпизод из начальной истории египетского монашества. Труды Киевской Академии, 1941.

იგივე შრომა გადმოზეჭდილი იქნა 1961 წ. სერიაში „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“. VII, გვ. 76-101 (ჩვენ ამ უკანასკნელი გამოცემის მიხედვით ვიმოწმებთ მას).



საბუთად მას მიიჩნდა თხზულების ლეგენდარული ხასიათი და უნდა ეთიკონში ცხოველებთან ერთად ცხოვრება, რაც დამახასიათებელი კოპტური ძეგლებისათვის<sup>3</sup>. თუმცა მკვლევარი არ გამოორიცხადდა არაბულიდან თარგმნის შესაძლებლობასაც<sup>4</sup>.

პ.პეტერსმა დაუსაბუთებლად მიიჩნია კ.კეკელიძის მოსაზრება ქართული ვერსიის კოპტურიდან მომდინარეობის თაობაზე. აღნიშნა, რომ ამ თხზულების სირიული ვერსიისა „ონესიმას ცხოვრება“, რომლის ერთი გამოცემა ეკუთვნის პ.ბეჯანს და მეორე – აგნეს ლუისს. მისი აზრით, პალადი ელენოპოლელმა ისარგებლა რომელიღაც ბერძნული წყაროთი, საიდანაც უნდა მოდიოდეს ჯერ სირიული და შემდეგ ქართული ვერსიები.

კ.კეკელიძემ 1918 წელს „კომენის“ I ტომში გამოსცა ქართული ტექსტი და წინასიტყვაობაში ეჭვი შეიტანა ქართული, ენისიმესა<sup>5</sup> და სირიული „ონესიმას“ იგივეობაში. მან დაბეჯითებით გაიმეორა, რომ არც ბერძნული, არც კოპტური და არც ასურული დედანი ამ საინტერესო თხზულებისა არ შენახულა<sup>6</sup>.

ჩვენ მიერ სირიული და ქართული ტექსტების შედარებამ აშკარა გახადა, რომ ეს ერთი და იგივე თხზულებაა.

ხელნაწერთა აღწერილობებისა და მათზე არსებული ლიტერატურის<sup>7</sup> შეფევებით ჩვენ ამოგვკრიბეთ ცნობები ძეგლის სირიული და არაბული ვერსიების ნუსხების შესახებ, რომლებიც მრავლად მოიპოვება ევროპისა და აზიის წიფსაცავებში დაცულ ქრისტიანულ

3 ეტიუდები, VII, გვ. 91.

4 იქვე, გვ. 92.

5 Peeters P. *Analecta Bollandiana*, T.xxix, Paris, 1912, p. 478-479.

6 კეკელიძე კ., კომენი I, თბილისი, 1918, გვ. X XI.

7 Graf G., *Geschichte der Christlichen Arabischen Literatur* T.I, 1944, S. 459; Baumstark A., *Geschichte...* S.192.

ხელნაწერებში<sup>8</sup>.

სამწუხაროდ, ხელნაწერთა უმრავლესობაზე ხელი ვერ გვწვდება, რვენ ხელთ გვქონდა: სინური არაბული ხელნაწერის ( sin

-----

8 Baumstark A., Die Liturgische Handschriften des Jakobitischen Marcus-Kloster in Jerusalem, O.S. II, 1911, N 107; Addai Scher, Notice Sur les Mms. Syriaques et Arabes conservés al Archeveche Chaldeen de Diarbekir, Paris, 1908, N 145( XV); Sachau E., Verzeichnis der Syrischen Handschriften der Königlichen Bibliothek zu Berlin, Berlin, 1899, NN 110(1699), 112(1730), 245(1828), 74(1694); Catalogue of the Mingana Collection of Manuscripts now in the possession of the Trustees of the Woodbrocke Settlement, t. I, 1933, NN 138, 146, 200, 299, 352; Scher A., Catalogue des Manuscrits Syriaques et Arabes Conservés dans la Bibliothèque Episcopale de Seert, Mosul, 1905, N64(XVI); Baron de Slane, Catalogue des Manuscrits Arabes de la Bibliothèque Nationale, Paris, (1883-1885), N305(1609); Bibliothèque de Manuscrits Paul Spath, Catalogue, 1928, Caire, VI, N391(1604); Pagne Smith R., Catalogi Codicum Manuscriptorum Bibliothecae Bodleanae, p. Sexta, Oxonii, 1864, N151; Scheicho L., Catalogue raisonné des Manuscrits de la Bibliothèque Orientale en Melanges de la Université St. Joseph, Beyrouth, 1913, NN 620 (XVIII), 628(1621), Catalogue of the Syriac Manuscripts in the British Museum by Wright W. t. 3, London, 1872, NN 14050, 14669; Zotenberg, Catalogue des Mss. Syriaques et



№ 542) მიკროფილმი, მინგანას კოლექციის კარგუნით ნაწერი ჰელი ნუსხის (№№ 138, 146, 200, 299, 352) მიკროფილმები, ქართული ვერსიის შემცველი 19 ხელნაწერ<sup>9</sup> და დანარჩენ ხელნაწერთა მეტ-ნაკლებად ვრცელი აღწერილობანი.

სირიული ვერსიის მონაცემებისათვის გამოვიყენეთ პ. ბეჯანისა და აგნეს ლუსის მიერ გამოქვეყნებული სირიული ტექსტები.

ხელნაწერებში წარმოდგენილი ტექსტები ერთგვარი შედგენილობისა არ არის. კვლევის შედეგების უფრო თვალსაჩინოდ წარმოდგენისათვის აუცილებელი გახდა თხზულებაში სამი მონაკვეთის გამოყოფა:<sup>10</sup>

1. წმ. ნისიმეს ცხოვრება მონასტერში მისვლამდე.

2. წმ. ნისიმეს ცხოვრება მონასტერში.

3. ამბავი მონასტრიდან მისი წასვლის შემდგომი მოღვაწეობისა. როგორც ქართული, ისე არაბული და სირიული ვერსიის შემცველ ხელნაწერებში თხზულება 4 სახით გვხვდება:

1. სამივე ნაწილი, ე.ი. თხზულება მთლიანად. არაბ. sin - 542, ming - 138, 146, 200, 299, 352; ქართ. A - 249, A - 146, A - 382, A - 126, A - 518, A - 161, A - 1050, H - 2281, S - 134, Wardr. e-1; Wardr. e-2.

2. პირველი და მეორე ნაწილები ერთად (ბეჯანისა და აგნეს

et Sabeens de la Bibliotheque Nationale, Paris, 1874, N235, 236 (XIII); Atiya A.S., The Arabic Manuscripts of the Mount Sinai, Baltimore, 1955, NN 542 (IX-X), 538 (1211), 469 (XIII).

გარდა ზემოჩამოთვლილი ხელნაწერებისა, ბაუმშტარკი მიუთითებს, რომ ვატიკანის სირიულ ხელნაწერებში არის ამ თხზულების პოეტური გადამუშავება. ხელნაწერი გადაწერილი ყოფილა 1570 წელს.

<sup>9</sup> A - 249; A - 146; A - 282; A - 126; A - 518; A - 161; A - 643; A - 851; A - 653; H - 286; H - 947; A - 1762; H - 2281; S - 134; S - 139; S - 300; S - 3640; A - 1050; Wardr. e-1, Wardr. e-2.

<sup>10</sup> თხზულებაში მონაკვეთებს გამოჰყოფს კ. კეპელიძეც. იხ. ოტ. VII, გვ. 81.



ლუისის მიერ გამოქვეყნებული სირიული ტექსტები, Berl. 25<sup>11</sup> და ქართული ხელნაწერები: S 139, H 947, A 643, A 851, H 1762, S 3640).

3. მხოლოდ მესამე ნაწილი: ( Berl. syr. 74<sup>13</sup>, Berl. 25<sup>14</sup> და ბეჯანის მიერ გამოცემული ტექსტის ბოლოს დართული ორი ფრაგმენტი)<sup>15</sup>.

4. მხოლოდ მეორე ნაწილი (ქართ. გ -300), თხზულების მეორე ნაწილს შეიცავს პალადი ელენოპოლელის „ღავსაიკონი“-ისა და ევრემ ასურის „წმიდა მამათა ცხოვრებების“ ცნობები წმინდანის შესახებ. Bibliotheca Hagiographica Graeca-ში მითითებული ბერძნული ვერსია თხზულებისა, იქვე მოტანილი დასაწყისისა და ბოლოს ჩვენების მიხედვით, მხოლოდ მეორე ნაწილს შეიცავს და, როგორც გამოცემლის შენიშვნებიდან ჩანს, იგი წარმოადგენს ევრემ ასურის თხზულებიდან იმ თავის ბერძნულ თარგმანს, რომელშიც წმიდა ნისიმეს შესახებ არის ლაპარაკი<sup>16</sup>.

წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ, გაგვეჩვენოთ სირიული, არაბული და ქართული ვერსიებისა და რედაქციების ურთიერთმიმართება. მათი ურთიერთშეჯერების შედეგად დაგროვილი მასალის ანალიზმა საშუალება მოგვცა გამოგვეთქვა მოსაზრებანი თხზულების არაბული და ქართული თარგმანის მიმდინარეობის თაობაზე და, საერთოდ, ძეგლის სადაურობისა და წარმომავლობის შესახებ.

11 Syrische Handschriften Beschrieben von Assfalg, 1963, Wiesbaden, S.49.

12 Sachau E., Verzeichnis der Syrischen.....

13 იქვე.

14 Assfalg, Syrische Handschriften...S.49.

15 Bedjan Paulus, Acta Martyrum et Sanctorum, Parisis, 1895, p.419 - 421.

16 Bibliotheca Hagiographica Graeca, Bruxelles, 1909.



„ნისიმეს ცხოვრების“ სირიული ტექსტი პირველად გამოაქვეყნა ბეჯანმა ბრიტანეთის მუზეუმის (Add № I4649) და პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის (№ 235, 236) ხელნაწერების მიხედვით.<sup>1</sup>

Add № I4649, რაიტის აღწერილობის მიხედვით, წარმოადგენს პერგამენტს, შეიცავს 235 გვერდს, I-8 და 30-68 გვერდები ნაწერია ესტრანგელათი VI-VII სს. ხელით. დანარჩენი გვერდები გვიანდელია, გადაწერილი II86 წ. ნისიმეს ცხოვრება იწყება 214 გვერდიდან<sup>2</sup>.

პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ორივე ხელნაწერი XII საუკუნისაა<sup>3</sup>. ბეჯანის მიერ გამოცემული ძირითადი ტექსტი შეიცავს თხზულების I და II ნაწილებს. გამომცემელი ტექსტს ბოლოში უთავს. ორ მინაწერს<sup>4</sup>, რომლებიც წარმოადგენენ ფრაგმენტებს თხზულების III ნაწილიდან. ეს ფრაგმენტები მინაწერების სახით დაცული ყოფილა ერთი - ბრიტანეთის მუზეუმისა და მეორე პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერთა არქებზე<sup>5</sup>.

სირიული ტექსტის მეორე გამოცემა ეკუთვნის აგნეს ლუისს<sup>6</sup>. ტექსტი გამოცემულია სირო-ანტიოქური პალიმფსტის მიხედვით, რომელიც ამჟამად სინას მთაზე ინახება და ცნობილია სინური პალიმფსტის სახელით<sup>7</sup>. მისი პირველი შრე წარმოადგენს თომას აქტების ტექსტს, რომელიც IV საუკუნითაა დათარიღებული. მეორე შრე კი - წმინდანთა ცხოვრებებს, რომელიც გადაწერილია 778 წელს ან-

1 Bedyan P., Acta... V.5, p. 405 - 419.

2 Wright W., Catalogue of the Syriac ... p.110, 7.

3 Zotenberg, Catalogue des Mss. Syr. et...

4 Bedyan P., Acta... p.419 - 421.

5 ი კ ვ ე, p.III.

6 Smith Lewis A., Select Narratives of Holy Women from The Syro-Antiochene or Sinai Palimpsest, Studia Sinaitica, No. IX, London, 1900, p.81-93.

7 ი კ ვ ე, p.V.



ტიოქიის მახლობლად მდებარე ლეთისმშობლის სახელობის მონასტერში ბერის, იოანე მესვეტის მიერ<sup>8</sup>.

ჩვენ გამოცემული ტექსტების მიხედვით შევისწავლეთ თხზულების სირიული ვერსია. მათი შედარებით გამოვლენილი სხვაობები, ჩვენის აზრით, სცილდება ვარიანტულს და რედაქციულ სხვაობებად შეიძლება ჩაითვალოს.

ქვემოთ მოყვანილი მაგალითებით შევეცდებით დავამტკიცოთ ჩვენი თვალსაზრისი. პ. ბეჯანის მიერ გამოცემულ ტექსტს აღვნიშნავთ Br ლიტერით, ხოლო სინური პალიმფსესტისას P -თი.

Br -ს წინადადებები ვრცელია, P -სი კი უფრო მოკლე და სხარტი:

I. Br **ⲉⲛⲁⲛⲁ ⲛⲁⲛⲁⲓ** : **ⲉⲛⲁⲛⲁ ⲛⲁⲛⲁⲓ ⲛⲁⲛⲁⲓ** : **ⲉⲛⲁⲛⲁ ⲛⲁⲛⲁⲓ ⲛⲁⲛⲁⲓ** **ⲛⲁⲛⲁⲓ**  
**ⲉⲛⲁⲛⲁ ⲛⲁⲛⲁⲓ ⲛⲁⲛⲁⲓ**

მიაღწია ერთ სანაგვეს, ამოიღო ძველი ძონძები, დაწნა მათგან გვირგვინი და დაიღო თავზე.

P. **ⲉⲛⲁⲛⲁ ⲛⲁⲛⲁⲓ ⲛⲁⲛⲁⲓ** : **ⲉⲛⲁⲛⲁ ⲛⲁⲛⲁⲓ ⲛⲁⲛⲁⲓ** **ⲛⲁⲛⲁⲓ**  
**ⲉⲛⲁⲛⲁⲓ ⲛⲁⲛⲁⲓ**

და მიაღწია ერთ სანაგვეს, ამოიღო ძველი ძონძები და დაიფარა სიშიშველ მისი.

2. Br **ⲉⲛⲁⲛⲁⲓ ⲛⲁⲛⲁⲓ** : **ⲉⲛⲁⲛⲁⲓ ⲛⲁⲛⲁⲓ** : **ⲉⲛⲁⲛⲁⲓ ⲛⲁⲛⲁⲓ** **ⲛⲁⲛⲁⲓ** : **ⲉⲛⲁⲛⲁⲓ**  
**ⲉⲛⲁⲛⲁⲓ**

და იტყვიან, რომ ამან გაათავისუფლა მონები და მხველები და დაარიგა წყალობა და მაქებენ მე ამის გამო.

P. **ⲉⲛⲁⲛⲁⲓ ⲛⲁⲛⲁⲓ** **ⲉⲛⲁⲛⲁⲓ** **ⲉⲛⲁⲛⲁⲓ** **ⲉⲛⲁⲛⲁⲓ** **ⲉⲛⲁⲛⲁⲓ**

და იტყვიან, რომ ამან გაათავისუფლა მონები და მხველები და მაქებენ მე.

-----

<sup>8</sup> S m i t h Lewis A., Select..., p.V.



3. Br **აქვად აქვად : აქვად აქვად : აქვად აქვად : აქვად აქვად**

არამედ შემფერის მე, რომ წავიდე დასახლებულ ადგილებზე და ვიცხოვრო ქალთა მონასტერში და ვიზრუნო ჩემი თავისა და ჩემი ამხანაგებისათვის.

P. **აქვად აქვად აქვად აქვად : აქვად აქვად აქვად აქვად**

არამედ ვიცხოვრო დასახლებულ ადგილებზე, მონასტერში, და ვიზრუნო ჩემი თავისა და ჩემი ამხანაგებისათვის.

4. Br

**აქვად აქვად აქვად აქვად : აქვად აქვად აქვად აქვად**  
**აქვად აქვად აქვად აქვად : აქვად აქვად აქვად აქვად**  
**აქვად აქვად**

ამას ფიქრობდა ნეტარი ანისიმა, რომ შეესრულებია. გამოვიდა უდაბნოდან და წავიდა დათა მონასტერში, რომელსაც ერქვა დ ერ ს ა დ რ ე (მონასტერი მწკრივთა).

P. **აქვად აქვად აქვად აქვად : აქვად აქვად აქვად აქვად**  
**აქვად აქვად აქვად აქვად**

და მივიდა იგი ნეტარი ანისიმა მონასტრის კარებთან, რომელსაც ეწოდებოდა დერ-სადრე (მონასტერთა მწკრივთა).

5. Br

**აქვად აქვად აქვად აქვად : აქვად აქვად აქვად აქვად**  
**აქვად აქვად აქვად აქვად : აქვად აქვად აქვად აქვად**  
**აქვად აქვად : აქვად აქვად აქვად აქვად**

ღუბინას, მონაზონთა მეთაურს, რომელიც გამოკეტილი იყო მრავალი წლის განმავლობაში სენაკში, უდაბნოში, კაცს უბიწოსა და რჩეულს, როცა იგი იჯდა თავის სამყოფში, გამოეცხადა ანგელოზი ღვთისა და უთხრა მას:

P. **აქვად აქვად აქვად აქვად : აქვად აქვად აქვად აქვად**  
**აქვად აქვად აქვად აქვად**

ღუბინას, მონაზონთა მეთაურს, რომელიც გამოკეტილი იყო სენაკში მრავალი წლის განმავლობაში, გამოეცხადა ანგელოზი ღვთისა და

უთხრა მას.



6. Br **მეფე მეფე და მეფე მეფე მეფე მეფე**  
**მეფე მეფე მეფე მეფე მეფე მეფე**

წაიყვანეს ხელეზზე აყვანილი წმინდა ანისიმა მონასტრის ეზოს კარებიდან ვიდრე ოთახამდე სალოცავი სახლისა, რომელშიც ისინი ასრულებდნენ ღვთისმსახურებას.

P. **მეფე მეფე და მეფე მეფე მეფე მეფე**, **მეფე მეფე მეფე მეფე მეფე მეფე**

და წაიყვანეს წმიდა ანისიმა ხელეზით (აყვანილი) მონასტრის კარებიდან სახლამდე, რომელშიც ეწეოდნენ ღვთისმსახურებას.

7. Br **მეფე მეფე : მეფე მეფე მეფე მეფე : მეფე მეფე მეფე მეფე**  
**მეფე მეფე მეფე მეფე** : **მეფე მეფე მეფე მეფე**

ათი დღის შემდეგ, როცა ნახა, რომ გამრავლდა მისი პატრიცეცემა, დააკვირდა და ნახა, რომ არ იყო კარების მცველი, გავიდა და გაიპარა.

P. **მეფე მეფე მეფე მეფე** : **მეფე მეფე მეფე მეფე მეფე მეფე**

დააკვირდა და ნახა, რომ არ იყო მუცარე, და გაიპარა, გავიდა და წავიდა.

II Br-ს წინადადება საერთოდ არაა სინური პალიმფსესტის ტექსტში:

1. **მეფე მეფე მეფე : მეფე მეფე მეფე მეფე : მეფე მეფე**  
**მეფე მეფე მეფე მეფე : მეფე მეფე მეფე მეფე**  
**მეფე მეფე მეფე მეფე : მეფე მეფე მეფე მეფე**

ნახა ღმერთმა მისი შრომა, ტანჯვა, მოთმინება, მოქმედება, ლოცვა და მორჩილება, არ ისურვა, რომ დარაგრულიყო იგი, არამედ გამოაშკარავება და გამჟღავნება ყველასთვის მისი ღვთიური მორჩილებისა.



**მეცხრე მარცხენა მხარის მარცხენა მხარის  
 მარცხენა მხარის მარცხენა მხარის  
 მარცხენა მხარის მარცხენა მხარის**



ამასთან ერთად, ნეტარი ისე არგენებდა თავს, თითქოს იგი გიჟია და ეშმაკია მასთან. ამიტომ შეზიზღებული იყო ყველასგან. ისე სძულდათ იგი და საზიზღარი იყო მათ თვალში, რომ სადღის დროს სცემდნენ მას, რომელიც მათთვის მოამზადა მან.

მონასტრის ყველა მოსამსახურეს ისე ემსახურებოდა, როგორც ცოცხი და ღრუბელი მონასტრისა, ადასრულა სიტყვა სახარებისა: ვისაც სურს, რომ იყოს ბრძენი უფლისა, იყოს სულელი ღმრთის წინაშე. აგრეთვე, ამას ძონძები ეხურა თავზე, ხოლო ყველა დას, მოსამსახურესაც და მონაზონსაც კუნკულები ეხურათ, იყვნენ ისინი რიცხვით სამასი და არასოდეს უნახავს ნეტარი ანისიმა არც ერთ მათგანს, რომ ყბას ანძრევდა და ჭამდა რაიმეს მათ წინაშე. არც მათთან ჯდებოდა მთელი წლების განმავლობაში მისი სიცოცხლისა. არც პურის ნატებს ჭამდა არასდროს, ნამცეცებს მხოლოდ, რომელსაც წმენდდა სუფრიდან. ტანსაცმელი მისი იყო ძველი და ცუდი. და არ კიცხავდა არავის და არ საყვედურობდა არავის და არ ამბობდა არც ერთ სიტყვას ვინმესთან. ასე ყოველდღე შეურაცხყოფილი, შეზიზღებული და განდევნილი იყო.

P-ში მთელი ზემოხსენებული ნაწყვეტის პარალელურად არის მხოლოდ ერთი წინადადება:


**ბათ რაგობათ კათა კათა**

და ყველასგან შეზიზღებული იყო.

გზვლებით [სიტყვათა] პერიფრაზირებას:

III.1.Br

**მეცხრე მარცხენა მხარის მარცხენა მხარის  
 მარცხენა მხარის მარცხენა მხარის : მარცხენა  
 მარცხენა მხარის მარცხენა მხარის : მარცხენა  
 მარცხენა მხარის მარცხენა მხარის : მარცხენა  
 : მარცხენა მხარის მარცხენა მხარის**



ქალი ერთი იყო ეგვიპტეში. სახელად ერქვა ანისიმა და შქონდა და მას თხუთმეტი ქალაქი და მთელი მისი ოლქები, რომელნიც მშობლებისეული იყო, რადგანაც მეფენი იყვნენ ქვეყანისა და ეს ერთადერთი ქალი ჰყავდათ მათ.

P. **რით ბარა . თქალა რით ბარ რხააძე რხა რხარ**  
**რით ბარა . რალა ბია' ბით ბარა . რხარ**  
**რით რით ბარ რხა რხა : რხა რაა რხარაა ბარა**

ქალი ერთი ნეტარი იყო ეგვიპტეში, რომელსაც ერქვა ანისიმა. იყო იგი მეფის ასული და შქონდათ მის მშობლებს თხუთმეტი ქალაქი ამ ქვეყანაში და ეს ასული ჰყავდათ მათ.

IV. 1. ზოგჯერ ერთი და იგივე აზრი სინონიმებითაა გადმოცემული:

Br **: რაა რაა რაა რაა რაა რაა**

და არ დამერქმევა მე ქმრის სახელი

P. **. რაა რაა რაა რაა**

და არ გამათხოვებენ მე.

2. Br **. რაა რაა რაა რაა**

წადი და გააჰყიდე შენი ქონება.

P. **რაა რაა რაა რაა რაა**

წადი და გააჰყიდე ყოველივე, რაც გაქვს შენ.

3. Br **რაა რაა რაა რაა რაა რაა**

ვტოვებ ქონებას და საწუთროს და ოქროს და ცოდვებს.

P. **რაა რაა რაა რაა რაა რაა**

ვტოვებ ქონებას ამქვეყნიურს და ოქროს ცოდვისას.

4. Br **: რაა რაა რაა რაა რაა**

და დაადო მას სამი ჯაჭვი.

P. **. რაა რაა რაა რაა რაა**

და დაადო მას სამი ბორკილი.

5. Br **: რაა რაა რაა რაა რაა რაა**

დატოვა იგი დედაბერმა სენაკში, დაატყვევა რა.

P.

ⲛⲓⲛⲓⲙⲉⲥ ⲛⲁ ⲛⲁⲓⲛⲓ ⲛⲁⲓⲛⲁⲓ ⲛⲁⲓⲛⲁⲓ ⲛⲁⲓⲛⲁⲓ

დატოვა იგი დედაბერმა კარების სახლში, დააწყვევა რა.

6.Br

ⲛⲁⲓⲛⲁⲓⲛⲁⲓ ⲛⲁⲓⲛⲁⲓ ⲛⲁⲓⲛⲁⲓ ⲛⲁⲓⲛⲁⲓ

და სურდათ წაერთმიათ მისთვის ევანგელეს წიგნი.



P.

ⲛⲁⲓⲛⲁⲓ ⲛⲁⲓⲛⲁⲓ ⲛⲁⲓⲛⲁⲓ ⲛⲁⲓⲛⲁⲓ

და წავიდნენ, რომ გამოერთმიათ ბიბლია მისთვის.

ყველა ზემომოყვანილი განსხვავება უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ სირიულში ორი რედაქციის არსებობა.

Br შეიცავს ვრცელს, ხოლო P მოკლე რედაქციას.

ზემოაღნიშნულ ორივე ტექსტში წარმოდგენილია თხზულების I და II ნაწილი. ბერლინის სამეფო ბიბლიოთეკის სირიულ ხელნაწერებში 74-ე ნომრით მითითებულია ხელნაწერი, გადაწერილი 1695 წ.<sup>9</sup>, რომელშიც 70-78 გვერდებზე მოთავსებულია სირიული „ნისიმეს ცხოვრება“<sup>10</sup>. სამწუხაროდ, ხელნაწერის მიღება ვერ მოვახერხეთ. აღწერილობაში მოცემულია ამ თხზულების საკმაოდ ვრცელი შინაარსი<sup>11</sup>, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ეს არის „ნისიმეს ცხოვრების“ სირიული ვერსიის III ნაწილი, რომლის ფრაგმენტები იპოვა ბეჯანმა პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის და ბრიტანეთის მუზეუმის ერთ-ერთი ხელნაწერის არეზე.

ე.ი. სირიულ ენაზე არსებობს „ნისიმეს ცხოვრების“ სამივე ნაწილი. იმ ხელნაწერებსა და გამოცემებში, რომლებზეც ხელი მიგვიწვიდა, წარმოდგენილია პირველი და მეორე ნაწილი ერთად, ხოლო

9 S a c h a u E., Verzeichnis der syrische Handschriften der Königlichen Bibliothek, Berlin, 1899, S. 288.

10 იქვე, გვ. 285-286.

11 ამ თარგმანს მოსდევს დასაწყისი, რომელიც ემთხვევა არაბულ და ქართულ ენებზე არსებულ შესატყვის ადგილს თხზულებისას.





მესამე ნაწილი ცალკე.

ი.ასფალგის სირიულ ხელნაწერთა კატალოგში აღწერილია ხელნაწერი, რომელიც 1705 წელსაა გადაწერილი. იგი შეიცავს „ნისიმეს ცხოვრებას“. აღწერილობის მიხედვით თხზულების პირველი და მეორე ნაწილი წარმოდგენილია ერთად (95 v - 62 v), ხოლო მესამე ნაწილი ცალკე (62 v - 68 v). ორივე მონაკვეთს აქვს თავისი სათაური და შესავალი ე.ი. იმ შემთხვევაშიც, როცა ისინი ერთ ხელნაწერში გვხვდება, დამოუკიდებელ თხზულებებად არიან წარმოდგენილი 12

## II. არაბული ვერსია

თხზულების არაბული ვერსიის შემცველ ხელნაწერთაგან, რომლებიც ხელთ გვაქვს, უძველესია სინას მთის წმ.ეკატერინეს მონასტერში დაცული ნუსხა sin- 542; იგი ა.ს.ატიას აღწერილობის მიხედვით, პერგამენტზეა გადაწერილი, შედგება 285 გვერდისაგან, ფურცლების ზომაა 23,5 X 15; თავ-ბოლო ნაკლულია: წარმოდგენს აგიოგრაფიულ კრებულს, შეიცავს პალადი ელენობოლელის „ლავსა-იკონს“, რომელსაც წინ უძღვის 15 თხზულება. ამათგან ერთ-ერთია „ნისიმეს ცხოვრება“. ხელნაწერი დათარიღებულია ატიას მიერ IX საუკ. ბოლოთი და X საუკ. დასაწყისით<sup>1</sup>.

მიკროფილმის მიხედვით<sup>2</sup>, ატიასეულ აღწერილობას შეიძლება დავუმატოთ შემდეგი: ხელნაწერს აქვს სამი პაგინაცია: 1. ჩვეულებრივი, ევროპული. 2. არაბული ასოებით. 3. ქართული ასო-

12 Assfalg J., Syrische Handschriften ... S.49.

1 Atija A. S., The Arabic Manuscripts...p.22.

2 ხელნაწერის მიკროფილმი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკის საშუალებით მიიღო აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკამ ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკიდან. ამჟამად ინახება აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში III2 ნომრით.


ეებით<sup>3</sup>. არაბული და ქართული პაგინაცია რვეულბრიცია. როგორც მოსალოდნელი იყო, არაბული პაგინაცია იწყება მარჯვნიდან მარცხნივ, ქართული კი - მარცხნიდან მარჯვნივ. ქართული პაგინაცია ბოლომდე მიჰყვება ხელნაწერს, არაბული კი წყდება მე-12 რვეულზე ( ١٢ ): ზოგი ფურცლის აშიაზე გვხვდება ბერძნული ასო-ებიც, რომელიც ბერძნული ან კოპტური პაგინაციის კვალი უნდა იყოს. ნაწერია გარკვეული ხელით, ასოები ოდნავ კუთხოვანია. ეს ხელი დახასიათებულია სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც "გვიანდელი ქუფური" "ქრისტეანული ტიპის"<sup>4</sup> ხელი.

ხელნაწერს საბაწმინდურად მიიჩნევენ. იგი, სხვა არაბულ ხელნაწერებთან ერთად უნდა მოხვედრილიყო სინას მთაზე<sup>5</sup>. ეს ხელნაწერები ზოგი გადაწერილია სინელ მამათა დაკვეთით საბას ლავრაში, ზოგი კი ლტოლვილმა ბერებმა ავბედობისაგან დასაცავად

3 არაბულ ხელნაწერებზე ქართული და ქართულ ხელნაწერებზე არაბული პაგინაციის და მინაწერების შესახებ იხ. Oestrup J., Über zwei arabische Codices Sinaitici der Strasburg Universitsts und Landbibliothek, ZDMG, N51, 1891, S. 454. Garitte G. Catalogue des manuscrite georgiens litteraires du mont Sinai, Louvain, 1956; Март Н. Крещение Армян, Грузин, Алланов и Абхазов святым ригорием, СПб, 1905, გვ. 163; Март Н., Описание грузинских рукописей Синайского монастыря, М. Л. 1940, გვ. I-2; Март Н. Предварительный отчет о работах на Синае Сообщение Импрр. Прав. Палест. общества, Т. XIV, ч. II, 1909, გვ. 33; Мегрелидзе И. Арабская азбука с древне-грузинской транскрипцией, Эпиграфика Востока, VIII, 1953, გვ. 36-42; ჯავახიშვილი ი., სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1947; გვარამია რ., „სინა-რაითის მამათა მოსრვის“ არაბულ-ქართული ვერსიები, თბილისი, 1973, გვ. 28; გვარამია რ., ქართული სინური ხელნაწერების არაბული მინაწერები, მრავალთავი, IX, 1961, გვ. 47.

4 Atija A.S., დასახ. ნაშრომი, გვ. XXVI.

5 იქვე, გვ. XVI.





გადაიტანეს სინას მთაზე<sup>6</sup>.

„ნისიმეს ცხოვრება“ მოთავსებულია 95-II6 გვერდებზე<sup>7</sup> თხზულების სათაური მიკროფილმში ცუდად იკითხება. საფიქრებელია, რომ იგი ცუდად იკითხება ხელნაწერშიც. ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ მ. გიბსონის აღწერილობაში წმინდანის სახელი  $\text{---} \text{---} \text{---}$  - ს ნაცვლად არის  $\text{---} \text{---} \text{---}$ <sup>8</sup>. შეიძლება ამიტომაც, არც კ. გრაფელი-ძისტვის<sup>9</sup> და არც გ. გრაფისათვის<sup>10</sup> არ იყო ცნობილი ამ თხზულების არსებობა სინას მთის არაბულ ხელნაწერებში.

თხზულების ბოლო სამ გვერდს მარცხენა მხარე დიაგონალურად მოხეული აქვს. ცუდად იკითხება 96-ე და 102-ე გვერდების ბოლო სტრიქონები: ზოგი სიტყვა გადაშლილია და აღდგენა არ ხერხდება.

ნაწარმოების ენა მარტივია, განსხვავებული კლასიკური არაბული ენისაგან. აქ გვხვდება ის ფონეტიკური, მორფოლოგიური თუ სინტაქსური მოვლენები, რომლებიც დამახასიათებელია ქრისტიანული არაბული ენისათვის. ეს მოვლენები, შემჩნეული და გამოვლენილი ქრისტიანული არაბული ლიტერატურის ძეგლების გამოცემების მიერ, ახალი მასალების დამატებით შეისწავლა და სისტემატურად ჩამოაყალიბა ი. ბლაჟმ<sup>11</sup>. მან ქრისტიანული არაბული ენა

6 sin № 542 რ. გვარამიამ გამოიყენა თავის ნაშრომში „სინა-რაჰის მამათა მოსერის“ არაბულ-ქართული ვერსიები“ (1973, თბილისი), სადაც მოცემული აქვს ხელნაწერის უფრო დაწვრილებითი აღწერილობა და დიდი ადგილი აქვს დამოუკიდებელი იმ ლიტერატურის მიმოხილვას, რომელიც ეხება სინას მთისა და საბას ლავრის ურთიერთკავშირს. (გვ. 25-41).

7 გვერდები მითითებული გვაქვს ევროპული პაგინაციის მიხედვით.

8 Gibson Mg., Catalogue of the arabic Mss. London, 1894.

9 Кекелидзе К. დასახ. ნაშრ., ეტ. VII, გვ. 77.

10 Graf G., დასახ. ნაშრ., გვ. 529.

11 Blau J., A Grammar of Christian Arabic, Louvain, 1966.

განიხილა, როგორც საშუალო საფეხური კლასიკურ არაბულსა და თავ  
ნამედროვე არაბულ დიალექტებს შორის<sup>12</sup>. მკვლევარს, გარდა  
ცემული ტექსტებისა, შესწავლილი აქვს არაბულ ქრისტიანულ ნელ-  
ნაწერთა უმრავლესობა<sup>13</sup>, მათ შორის  $\sin$  542<sup>14</sup>.

$\sin$  542-ში წარმოდგენილი „ნისიმეს ცხოვრების“ ტექსტი  
შეიცავს თხზულების სამივე ნაწილს<sup>15</sup>.

თხზულების სამივე ნაწილს შეიცავს მინგანის კოლექციის  
კარშუნული ხელნაწერებიც<sup>16</sup>:

1. *ming.* 138. დათარიღებული მე-16 საუკუნით, „ნისიმეს  
ცხოვრება“ მოთავსებულია 67 v- 77 x გვერდებზე. იაკობიტური  
ნაკლულია (თავსა და ბოლოში აკლია რამდენიმე ფურცელი).

2. *ming.* 146. მე-17 ს. „ნისიმეს ცხოვრება“ მოთავსებუ-  
ლია 145 v- 151 v გვერდებზე, იაკობიტური.

-----  
12 იქვე, I, გვ. 19, 36-58.

13 იგი ხელნაწერთა მონაცემებს იყენებს იმ შემთხვევაშიც,  
როცა ტექსტი გამოცემულია. იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 20-21.

14 იქვე, გვ. 28.

15 ა. ა ტ ი ა ს კატალოგში მითითებულია თხზულების  
კიდევ ორი ნუსხა:  $\sin$  № 469 (მე-13 ს.) და  $\sin$  № 538  
(12 II წ.). სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა ამ ხელნაწერთა მიკროფილ-  
მების მოპოვება. როგორც მ. გიბსონის, ისე ატიას აღწერილობა ძუნწ  
ცნობებს შეიცავენ და არ იძლევიან საშუალებას, წარმოგვინა  
ვიქონიოთ ამ ხელნაწერებში მოცემული ტექსტების შედგენილობაზე.

16 *Catalogue of the Mingana Collection....; Graf G.  
Geschichte ....I, S. 529.*



3. ming 200. მე-16 ს. გვ. Ir - 10r ; ნესტორიანული თაგნაკლული (აკლია ერთი ფურცელი).

4. ming 299. I55I წ. გვ. IV - 9r იაკობიტური, ნაკლული (შუაში აკლია 6 გვერდი).

5. ming 352. მე-18 ს. გვ. I08v - I2Iv, იაკობიტური<sup>17</sup>.

მინგანას კოლექციის ხელნაწერებში წარმოდგენილი „ნისიმეს ცხოვრება“ ერთი რედაქციისაა. შეიმჩნევა მხოლოდ უმნიშვნელო ვარიანტული სხვაობები. ამ სხვაობათაგან განსაკუთრებით თვალში საცემია ვრცელი შესავალი და ბოლო სიტყვა, რომელიც ყველა ხელნაწერში ერთნაირი სივრცით არაა წარმოდგენილი:

بسم الاب والابن وروح القدس اله واحد امين . بتنا بعون الله  
 وحسن توفيقه ونكته تصه القدسه امراء ناسموس بنت الطك صلتا تحفظ  
 حبيب بنى المعموده داخان اسمعا اخواتى و يا احبابى

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ერთისა ღმრთეებისა. ამინ. ვიწყებ ღვთის დახმარებით და მისი კეთილი თანამშრომლობით და დავწერე მოთხრობა წმინდა ქალისა ნასიმუსისა, მეფის ასულისა. მისმა ლოცვამ დაგვიფაროს ჩვენ კრებული მართლმორწმუნეთა საუკუნოდ. ამინ. ისმინეთ, ძმანო ჩემნო და საყვარელნო ჩემნო!

-----  
 17 აკად. გ. წერეთლის დახმარებით კემბრიჯის უნივერსიტეტიდან მივიღეთ ზემოხსენებული ხელნაწერებისაგან იმ გვერდების მიკროფილმები, რომლებიც შეიცავენ „ნისიმეს ცხოვრებას“. ტექსტის სისრულისა და ნაკლულობის შესახებ ცნობები მიკროფილმების საშუალებით დავაზუსტეთ. G. Graf მხოლოდ ming 200-ს თვლის ნაკლულად. მიკროფილმების მიხედვით კი ნაკლულია ming 299, რომელსაც შუაში აკლია ფურცლები. ასევე თავსა და შუაში აკლია ფურცლები ming 138. სრული ტექსტი წარმოდგენილია მხოლოდ ორ ხელნაწერში: ming 146 (მე-17 ს.) და ming 352 (მე-18 ს.).

كلت اخبار القديسه مرقى ناسيموس واخبار القديسين ارفاتاها صلاتها  
 و صلاتهم و صلاه السيده الطاهره القيه المذرى البتول و جميع الشهاد  
 القديسين تحفظ جميع المعموده من امتحانات الشيطان و جنوده داهيان  
 امين وربنا الله الكاتب الطاهر و القارى الطاهر الفاطر المسكين و جميع  
 المعمن الذين حاضرين امين

გაგასარულე ამბავი წმინდა ქალისა ნასიმუსისა და  
 ამბავი მისი წმინდა მეგობრებისა. მისმა ლოცვამ და მათმა  
 ლოცვამ და ლოცვამ წმინდა დედოფლისა, წმინდა უბიწო ქალწული-  
 სა და წმინდა მოწამეთა კრებულისა და გვიფაროს მართლმორწმუნე-  
 ნი სატანისა და მისი გუნდის განსაცდელისაგან, ამინ, ამინ.  
 შეიწყალოს ღმერთმა მწერალი დახელოვნებული და მკითხველი წმი-  
 ნდა, გლახაკი და საწყალი და ყველა მორწმუნე, რომელნიც მო-  
 წამენი არიან. ამინ.

ზემოჩამოთვლილ კარშულ ხელნაწერებში წარმოდგენილი ტექ-  
 სტი განსხვავდება სინური ტექსტისაგან. ჩვენი ყურადღება გან-  
 საკუთრებით ლექსიკურმა სხვაობებმა მიიბყრო. ქვემოთ მოტანილ  
 მაგალითებში ერთი და იგივე აზრი სინონიმური სიტყვებით ან  
 განსხვავებული გრამატიკული ფორმებითაა გადმოცემული. სინურ  
 ხელნაწერს ადვინიზნაფთ S ლიტერით, კარშულ ხელნაწერებს კი  
 K თი.

S

K

صارت الى الكتيه

جازت الى الجمه

اذهب وبيع كل ما تطك وادفع  
 الى المساكين ليكون لك كنز في  
 السما

اضى و فرق ما لك طى جمع  
 المساكين و تكون ذخيرتكم في  
 السما

اماها

جارها

صارت

تصدت



مما قلت ان كان لي مال جهل  
الدم بين من رجليها ما كانت  
تمشي طي الشوك والقرطب

تا ما قلت اني كنت مسره  
دم تديها بسيل من خويشه  
النبا

ما ذا يقال

وكانوا تكلموا ظلم كانت تجاههم

اش يقال

وكانوا يسلموا ولا ترد طيم

هذه سجنه هي

هذه الجاربه تابهه

وكان كلما يدخلوا او يخرجوا  
يلطموها ويضرك طيها

كانوا يسلموها اذا دخلوا ويسلموها  
اذا اخرجوا ويمسروها

انت الساعيه فذلكم

انت الحق

كم سيرهم من عندنا

كم بعدهم من من هاهنا

ناطتى سيرهم من

اصطبقى باهني الذي معك

ეს განსხვავებული გვაფიქრებინებს, რომ S-სა და K-ს ტექსტი სხვადასხვა თარგმანს წარმოადგენს.

სირიული ვერსიის ორივე რედაქციისა და არაბული ვერსიის ტექსტების შედარებამ გამოავლინა შემდეგი:

I. არის შემთხვევები, როცა სირიული ვერსიის მოკლე (P) და ვრცელი (Br) რედაქციები და სინური ხელნაწერის ტექსტი (S) ერთნაირია, K კი განსხვავებულია მათგან:

1. Br :  $\text{ܡܢ ܗܘܢܐ ܕܗܘܢܐ ܕܗܘܢܐ}$   $\text{ܕܗܘܢܐ ܕܗܘܢܐ ܕܗܘܢܐ}$   $\text{ܕܗܘܢܐ ܕܗܘܢܐ ܕܗܘܢܐ}$

იყო ეგვიპტეში ერთი ქალი, რომელსაც ერქვა ანისიმა.

P.  $\text{ܡܢ ܗܘܢܐ ܕܗܘܢܐ ܕܗܘܢܐ ܕܗܘܢܐ}$   $\text{ܕܗܘܢܐ ܕܗܘܢܐ ܕܗܘܢܐ ܕܗܘܢܐ}$   $\text{ܕܗܘܢܐ ܕܗܘܢܐ ܕܗܘܢܐ}$   
იყო ეგვიპტეში ერთი ნეტარი ქალი, რომელსაც ერქვა ანისიმა.



S. **كان بصره يقال لها انسيه**  
იყო ეგვიპტეში ქალი, რომელსაც ერქვა ანსიმა.

K. **في ذلك الزمان كان امرأة خيرة من مدنيه يقال لها اعدا وكان اسمها**  
იმ დროს იყო კეთილი ქალი ქალაქიდან, რომელსაც ერქვნ აყულა და სახელი მისი იყო ნასიმუს.

2 S -სა და Br -ში ჯერ ნათქვამია, რომ მამამ მოუშვა და გვირგვინი თავის ასულს, რადგან იყო მეფე ამ ქვეყნისა და ეს ერთი ასული ჰყავდა მხოლოდ. შემდეგ მოცემულია მეფის სასახლის აღწერა.

K -ში კი - ჯერ მეფის სასახლეა აღწერილი, შემდეგ მოდის თხრობა გვირგვინის დადგმის შესახებ.

3. Br. **كذلك في ذلك الزمان كان**  
: **და**

მოუვიდა თავში აუცილებლობა ღვთის თავგანისცემისა, ამოიოხრა, ატირდა და თქვა.

P. **كذلك في ذلك الزمان كان**  
მოუვიდა თავში (ფიქრი) და ამოიოხრა და თქვა.

S. **خطر في بالها مع كل حار فكر وتالت**  
მოუვიდა თავში ფიქრი და მწარე ტირილით თქვა.

K **فتحسرت وتالت** ამოიოხრა და თქვა :

4. Br. **كذلك في ذلك الزمان كان**  
: **და**

წავიდა ეკლესიაში. ილოცა და წავიდა სახლში სიხარულით.

.P. **كذلك في ذلك الزمان كان**  
წავიდა ეკლესიაში... ილოცა და გაემართა სიხარულით სახლი-საკენ.

S. **صارت الى الكنيسة فالت ثم انصرفت الى قصرها بفرح**

წავიდა ეკლესიაში და ილოცა, შემდეგ გაემართა სასახლისაკენ სიხარულით.





K . **مى على نوحاه سروره القلب كما قداهت** ... **الى اليمه** ... **استجاب لها**

წავიდა და შევიდა ეკლესიაში. ილცა გახარებულმა და მხი-  
არულმა გულით, რომ კეთილ ქმნა ღმერთმა მასზე და ისმინა მისი  
ვედრება.

5.Br,P -სა და S -ის მიხედვით მონასტრიდან ნისიმეს წასე-  
ლის შემდგომი ცხოვრების ამბავი ალექსანდრიის ეკლესიის მსა-  
ხურმა ბერმა უამბო ანბა ზენონის ეკლესიის მომნახულებელს, ხოლო  
მან ამ ეკლესიის მიტროპოლიტსა და ძმათა კრებულს.

K-ში კი თხზულების III ნაწილი იწყება პირდაპირ ალექსან-  
დრიის ეკლესიის მსახურის თბობით.

6.Br **مى على نوحاه سروره القلب كما قداهت** ... **الى اليمه** ... **استجاب لها**

იყო მისწრაფებული წიგნების კითხვისაკენ სამი საათიდან  
ცხრა საათამდე მთელი დღეების განმავლობაში მისი სიცოცხლისა.

P. **مى على نوحاه سروره القلب كما قداهت** ... **الى اليمه** ... **استجاب لها**

კითხულობდა წიგნებს სამი საათიდან ცხრა საათამდე მთელი  
დღეების განმავლობაში მისი სიცოცხლისა.

S. **كانت تسمع على تراتب كى الله من طه ساطع من النهار الى مساء**

იყო მისწრაფებული საღმრთო წიგნთა კითხვისაკენ დღის სამი  
საათიდან ცხრა საათამდე მისი სიცოცხლის მანძილზე.

K. **كانت الحارة يهتد قد درست الكتب كلها**

იყო ქალი ღვთისმოსავი, წაეკითხა ყველა წიგნი.

7. Br P-სა და S -ში მოტანილია მოხუცი მეკარის სიტყვები,  
რომელსაც ის ეუბნება მონასტრის კარებთან მოსულ ნისიმას.

K ამ სიტყვებს არ შეიცავს.

8. Br **مى على نوحاه سروره القلب كما قداهت** ... **الى اليمه** ... **استجاب لها**

ეს ქალი გიჟია და მისი მშვენიერი სახე მოწმობს, რომ შეპყრო-  
ბილია ეშმაკისაგან ჯადოთი.



P. *რატა თათანი აარი თან რათა ჰინ რათ* *რათა რათათა რათი მიათ რათ*  
 ვაი, ეს ქალი გიყვია, და მისი მშვენიერი სახე მოწმობს, რომ  
 შეპყრობილია ეშმაკისაგან.

S. *اذا ان تكون هذه الحارة حرة بعد طي قارة*  
*وبحال الشيطان لما*  
 მეშინია, რომ ეს ქალი გიყვია. და მისი ლამაზი სახე მოწმობს  
 მის ცოუნებას და ეშმაკის ჯადოს მასზე.

II. ზოგ შემთხვევაში K ემთხვევა Br E-ს, ხოლო S განსხვავებულია მათგან.

1. BrP და K-ში აღნიშნულია, რომ მეფის სასახლე მორთული იყო ცხოველთა და ფრინველთა ქანდაკებებით (სირიული ვერსიით ცხვრებისა და ხარების ქანდაკებებით). S-ში მეფის სასახლის აღწერა ამ დეტალების გარეშეა მოცემული.

2. BrP-სა და K-ს მიხედვით, მონასტერში მისულ წმინდანს მეორეჯერ გამოეცხადება ანგელოზი.

S ამ ფაქტს არ იცნობს.

3. წმინდა ნისიმეს ვინაობის გაგების შემდეგ მონაზვნები პატრივისციემით ეპყრობოდნენ მას.

K-სა და BrP-ში დაწვრილებითაა გადმოცემული მონაზონთა საქციელი: მათ მოიხადეს თავსაბურავები, ფეხქვეშ დაუგეს წმინდანს და თხოვეს გაეთელა იგი ფეხით, აგროვებდნენ მის ფეხთა მტვერს და იცხებდნენ სხეულზე, როგორც მალამოს.

S-ში ზემოთ ჩამოთვლილი დეტალები არ არის.

III. არის შემთხვევები როცა S და K მსგავსია. Br და P მათგან სხვაობს. მაგ. ციტატა სახარებიდან BP-ში სრულადაა მოტანილი: 1.Br

*ჰინჰჰ ჰინჰჰ ჟინჰჰ : ანჰან ჰინჰ*  
*ჟინჰჰ ჰინჰ : ჰინჰჰჰ ჰინჰ ჟინჰჰ ჰინჰ*

წადი და გაყიდე შენი ქონება, მიეც ზღაბაკთ, აიღე ჯვარი და მომყევი მე. და გიქნება შენ საუნჯე ზეცაში.

P. *იხა რხი უაღჷ ათი რათაჷ ათი უღ ჰარა ჷა რა ჯა*  
*რათაჷ რათაჷ უღ რითაჷ*

წადი და გაყიდე ყოველივე, რაც გაქვს და მიეც ზღაბაკთა, აიღე ჯვარი და მომყევი მე და გიქნება შენ საუნჯე ზეცაში.



ქართული  
ენების ინსტიტუტი

S და K -ში კი მოკლედ:

اذهب وبيع كل ما تملك وانضمه الى المساكين ليكون لك كنز في السماء

წადი და გაყიდე ყოველივე, რაც გაქვს, მიეცე გლახაკთა, რათა გქონდეს საუნჯე ცათა შინა.

K اضئ فرق ما تملك الى جمع المساكين وتكون ذخيرتك في السماء

წადი და გაუყავ, რაც გაქვს, გლახაკთ და გექნება საუნჯე ცათა შინა.

IV. როცა სირიული რედაქციები სხვაობენ, ზოგჯერ K ემთხვევა Br-ს და განსხვავდება S -ისა და P -საგან.

K და Br -ს მიხედვით, წმინდა ნისიმემ სამეფო სახლი საბვადმყოფოდ აქცია. S და P ამ ფაქტს არ იცნობს.

V. არის მატალითები, როცა S და Br ერთნაირია, ხოლო K და P მათგან განსხვავებული:

1. როცა წმინდა ღუბინამ იცნო ქალი, რომლისთვისაც მას გამოეცხადა ანგელოზი, დაეცა მის ფეხებთან, თაყვანისცა მას და სთხოვა კურთხევა.

S -სა და Br -ს მიხედვით წმინდა ნისიმეც დაეცა მის ფეხებთან და თვითონ სთხოვა კურთხევა.

K და Br -ში ეს ფაქტი გამოტოვებულია.

2. S და Br - ში აღნიშნულია, რომ:

Br . . . . .

ნეტარმა ქალმა ანისიმამ გააცვილა ისინი და იყო შემოსილი თეთრად.

S وان الطهيه اجزتها وهي لا ياض

ნეტარმა დაიტირა ისინი და იგი შემოსილი იყო თეთრად.

ხოლო P -ს მიხედვით:

P . . . . .

ხოლო ნეტარმა ანისიმამ ისინი გაახვია თეთრებში. :რწმინდა



3 S და Br -ს მიხედვით, მონასტრის მეკარე იდგა კარბანს  
 ასოცი წლის განმავლობაში, P -თი - ორმოცი წლის განმავლობაში,  
 K -ს მიხედვით კი - მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში.

VII. ზოგჯერ Br S და K ერთნაირია და P - განსხვავებული.

1. S -ის, Br -სა და K -ს მიხედვით, წმ.ნისიმა კითხულობდა  
 ევანგელეს უდაბნოში სამი საათიდან ცხრა საათამდე, P მიხედ-  
 ვით კი - ექვსი საათიდან ცხრა საათამდე.

2. Br -ს ერთი მონაკვეთი საერთოდ არაა P -ში, არც K -სა  
 და S -ში<sup>18</sup>.

ტექსტების შედარების დროს ზემოთ ჩამოთვლილ მსგავსება-  
 განსხვავებათა გვერდით ცალკე უნდა შევიჩერდეთ ორ მაგალითზე:

I. S -ში ეკითხულობთ:

წმიდა ნისიმეს მშობლებმა:

მოუშზადეს მას თავიანთ სიცოცხლეშივე გვირგვინი ოქროსნი.

K -ს მიხედვით:

وضعنا لك على رأسنا

დაადგეს გვირგვინი მას თავზე.

BrP-ში შეესატყვის წინადადებაში ნათქვამია:

...<sup>19</sup> ...

სიტყვას სირიულში ორი მნიშვნელობა აქვს:

1. დაადგა, დაადო, დაუგო: 2. მოამზადა, მოაწყო.

ე.ი. ერთმა მთარგმნელმა ეს სიტყვა პირველი მნიშვნელობით  
 გაიგო (დაადგა), მეორემ კი - მეორე მნიშვნელობით (მოამზადა).

II. S -ში იმ წმინდანის სახელი, რომელსაც გამოეცხადა ან-  
 გელოზი, არის -

زناناس

زناناس المساهد الذي كان محبوب في كتخ سين عد ترايا له لاك

الله قابل. زناناس قد حست خدمتك ...

18 იხ. ზემოთ, გვ. 10-11.



2. A 146. პერგამენტი. 202 ფურც. ნაკლული. გადაწერილი მე მაქსიმეს მიერ, ნუსხური, XIV ს. ხელით, პალიმესტის ძველი ტექსტი შეიცავს დავითის ფსალმუნებს. 180-202 გვ. მოთავსებულია „ნისიმეს ცხოვრება“ (სამივე ნაწილი).
3. A 382. ქაღალდი. 343 ფურცელი, ნუსხური. ორ სვეტად. XV ს. გადაწერილი რუთი. 95-103 გვერდები შეიცავს „ნისიმეს ცხოვრებას“ (სამივე ნაწილი).
4. A 126. ქაღალდი. 312 ფურც. ნაკლული. ნუსხური. გადაწერილი 1586 წ. 291-307 გვერდებზეა „ნისიმეს ცხოვრება“ (სამივე ნაწილი).
5. A 518. ქაღალდი. 543 ფურც. 1708 წ. გადაწერილი დიმიტრი, ძე პეტრესი. ნუსხური. მინაწერების მიხედვით გადაწერილია ძველი ხელნაწერიდან. შეიცავს წმინდანთა ცხოვრებებს. 316-326 გვერდებზე მოთავსებულია „ნისიმეს ცხოვრება“ (სამივე ნაწილი).
6. A 161. ქაღალდი. 205 ფურც. ნუსხური. გადაწერილია მოსკოვში 1738 წ. რომან მიტროპოლიტის, გიორგი ერისთავის ძის მიერ. 101-117 გვ. შეიცავს „ნისიმეს ცხოვრების“ სამივე ნაწილს.
7. A 643. ქაღალდი. 534 ფურც. მხედრული. XIX ს. გადაწერილია პეტრე ტაბლიაშვილის მიერ. 322-327 გვერდებზე მოთავსებულია „ნისიმეს ცხოვრება“ (პირველი და მეორე ნაწილი).
8. A 851. ქაღალდი. 60 ფურც. XIX ს. მხედრული. 43-48 გვერდებზე „ნისიმეს ცხოვრების“ პირველი და მეორე ნაწილია მოთავსებული.
9. A 1050. ქაღალდი. ნუსხური. საგალობელ-საკითხავნი. გადაწერილი 1801 წ. ნეოფიტეს მიერ. I - 18 გვ. შეიცავენ „ნისიმეს ცხოვრებას“ (სამივე ნაწილი).
10. S 134. ქაღალდი. 170 ფურც. მხედრული. XVIII ს. შეიცავს წმინდანთა ცხოვრებას. „ნისიმეს ცხოვრება“ მოთავსებულია 138 -144 გვ. (პირველი და მეორე ნაწილი).
11. S 139. ქაღალდი. 718 ფურც. მხედრული. XVIII-XIX ს. შეიცავს საკითხავებსა და წმინდანთა ცხოვრებებს. 571-581 გვერდები შეიცავენ „ნისიმეს ცხოვრებას“ (სამივე ნაწილი).
12. S 300. ქაღალდი. აგოგრაფიულ-მეტაფრასული კრებული. გადაწერილი 1765-1779 წ. თამა და იოანე კალოზბენელების ხელით. 67 - 68 გვერდებზე მოთავსებულია „ნისიმეს ცხოვრება“ (მეორე ნაწილი).

13. S 3640. XIX ს. მხედრული. „წმინდანთა ცხოვრებანი“. 50-54 გვერდები შეიცავენ „ნისიმეს ცხოვრებას“ (პირველი და მეორე ნაწილი).
14. H 286. წმინდანთა ცხოვრებანი. გადაწერილი 1853 წ. ელისაბედ ჯანდიერი-ხუციშვილის მიერ. მხედრული. 353-357 გვერდები შეიცავს „ნისიმეს ცხოვრებას“ (პირველი და მეორე ნაწილი).
15. 1762. XIX ს. დედათა ცხოვრება. მხედრული. 25 - 31 გვერდებზე მოთავსებულია „ნისიმეს ცხოვრების“ პირველი და მეორე ნაწილი.
16. H 947. ქაღალდი. მხედრული. 1864 წ. დედათა ცხოვრება. 26 - 32 .
17. H 2281. კრებული. მხედრული. გადაწერილი 1793 წ. გადამწერი გაიოზი, გარეჯის უდაბნო. 67 - 79 .
18. Wardr e-1 მხედრული. გადაწერილი 1784 წელს. შეიცავს წმინდანთა ცხოვრებებს. გვ. 341 „ნისიმეს ცხოვრება“.
19. Wardr e-2 მხედრული. შეიცავს წმინდანთა ცხოვრებებს: გადაწერილია XVIII ს. ნაკლული.

1911 წელს ნისიმეს ცხოვრების ქართული ვერსიის შესახებ გამოქვეყნებულ გამოკვლევაში კ.კეკელიძეს შესწავლილი აქვს თბილისის საეკლესიო მუზეუმის 7 ხელნაწერი, რომელთა მიხედვით იგი სამ რედაქციას გამოჰყოფს<sup>5</sup>:

A რედაქცია: A 249.

B რედაქცია: A 146, A 161.

C რედაქცია: A 382, A 518 და A 643.

ჩვენ შევისწავლეთ თხზულების კიდევ 12 ნუსხა. მათი შედარების შედეგად გაირკვა, რომ კ.კეკელიძის მიერ რედაქციებად დაყოფას ექვემდებარება ყველა ხელნაწერი. გაირკვა ისიც, რომ ხელნაწერებში წარმოდგენილი ტექსტი ერთგვარი შედგენილობის არაა.

ათი ხელნაწერი შეიცავს თხზულების სამივე ნაწილს: A 249;

A 146; A 382; A 126; A 518; A 161; H 2281; S 139; A 1050; Wardr. e-2.

5 ეტიუდები, VIII, გვ. 92.



შვიდი შეიცავს პირველ და მეორე ნაწილს: S I34; H 286; A 643; A 85I; H I762; S 3640. Wardr e-1; Wardr e-2 ხელნაწერი კი შეიცავს მხოლოდ მეორე ნაწილს ა 300<sup>6</sup>.

სამივე ნაწილის შემცველ ხელნაწერთაგან ჩვენ მიერ დამატებით შესწავლილი A I26; A I050 და H 2281 Wardr e-2 B რედაქციისაა.

პირველი და მეორე ნაწილების შემცველი ხელნაწერებიდან სამი B რედაქციისაა: S I34; H 286; S 3640; ხოლო ოთხი - C რედაქციისა: H 947; A 643; A 85I; H I762.

ჩვენ გამოვიყენეთ ხელნაწერთა ლიტერებით აღნიშვნის ის პრინციპი, რომელიც შეიმუშავა აკად. ვ. წერეთელმა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ლიტერებით აღნიშვნისათვის. B რედაქციის შემცველი ხელნაწერებია:

A I46=b<sup>1</sup>, A I26=b<sup>2</sup>, A I6I=b<sup>3</sup> Wardr e-1 =b<sup>4</sup>, H 228I= b<sup>5</sup>, S I34= b<sup>6</sup>, S I39=b<sup>7</sup>, Wardr e-2=b<sup>8</sup>, A I050= b<sup>9</sup>, H =286b<sup>10</sup>, S 3640=b<sup>11</sup>

C რედაქციის ხელნაწერებია:

A 382c<sup>1</sup>, A 5I8=c<sup>2</sup>, H 947=c<sup>3</sup>, A 643=c<sup>4</sup>, A 85I=c<sup>5</sup>, H I762= c<sup>6</sup>.

D ლიტერით აღვნიშნავთ S 300 ხელნაწერს. ტექსტების შეჯერების დროს მსგავსება-განსხვავებათა ანალიზით შესაძლებელი გახდა რედაქციების შიგნით ხელნაწერთა ურთიერთმიმართების დადგენა.

A რედაქცია, როგორც აღვნიშნეთ, ერთი ხელნაწერთაა წარმოდგენილი. ამიტომ პირველად შეგვხვებით B რედაქციის ხელნაწერებს.

ჩვენ შევეცდებით, მოვიტანოთ ხელნაწერთა ის ჩვენებანი, რომელთაც შესაძლებლობა მოგვცეს გვევარაუდა, რომ B რედაქციის ხელნაწერებს საფუძვლად უდევს XIV საუკუნის ხელნაწერი A I46 (ჩვენი ლიტერით b<sup>1</sup>):

I. b<sup>1</sup> -ში „კასრის“ ნაცვლად შეცდომით არის „კარი“.

შდრ. A იყო კასრი მოსხმული აბანოსითა...

c<sup>1</sup> იყო კასოი მათი მოსხმული აბანოზითა.

b<sup>1</sup> იყო კარი მისა მოსხმული აბანოსითა.

რედაქციის ყველა ხელნაწერი იმეორებს ამ შეცდომას. მხოლოდ b<sup>10</sup> და b<sup>11</sup> -ში იგი შეცვლილია „პალატით“.

6 იხ. ზემოთ, გვ. 5.



2. წინადადებაში „ამან განათავისუფლან მონანი და მკვეცალნი“  
 ხ<sup>1</sup>-ში გამოტოვებულია „მკვეცალნი“; გამოტოვებულია იგივე  
 ციის ყველა ხელნაწერში.

3. A „არამედ მოვისულელო თავი, ცოფად ვიქცეოდი“. ხ<sup>1</sup>-ში შე-  
 ცდომითაა გადმოწერილი:

„ა“დ მოვისულელო თავიცა ფ“დ და ვიქცეოდი“. „ცოფ“დ ქარაგ-  
 მით დაწერილი სიტყვა გადამწერმა ორად გაჰყო: პირველი ნაწილი  
 წინამავალ სიტყვას მიაწერა ცუ ნაწილაკად, ხოლო მეორე ნაწილი  
 ფ“დ“ გახსნა „ფრიად“ სიტყვად. ეს შეცდომა მეორდება B რედაქ-  
 ციის ყველა ხელნაწერში.

4. ხ<sup>1</sup>-ში გამოტოვებულია რამდენიმე წინადადება: „დაუთმო  
 გინებასა ქ“ესათჳს, რ“ა იყოს ჩემდა სარგებელ წ“ე მისსა. ა“დ  
 გიმარხვიდე და არაგინ ცნას და მაყუდრებდენ და მეტყოდიან:  
 ნაყროვანო, და აგრეთვე მეღვინეობასა შემწამებდენ, ხ“ მე ვჰმისა-  
 ხურებდე ა“დ იგინი ჰგონებდენ, ვ“დ ცუდად ვზი“. B რედაქციის  
 არც ერთ ხელნაწერში ეს წინადადებები არ არის.

5: A „შეკრა იგი ზაჰჳთა სამკეცითა რკინისაჲთა“. ხ<sup>1</sup>-ში „ზაჰ-  
 ჳთა მტკიცითა რკინისაჲთა“. ასეა B რედაქციის ყველა ხელნაწერში.

6. „ურუენა მ“თ ვ“რმცა არა იყოდა, თუ რასა ეტყოდის მას“.  
 ხ<sup>1</sup>-ში „იყოდა“ სიტყვაში ც-ს შემთხვევით თავი აქვს შეკრული  
 (ამ ადგილს ქაღალდი დაღებულა) და „ა“ ამოკითხულია დ-დ.  
 აქედან გამომდინარე B რედაქციის ყველა ხელნაწერში „იყოდა“-ს  
 ნაცვლად არის „იტყოდა“.

„ურუენა მ“თ, ვ“რმცა არა იტყოდა, თუ რასა ეტყოდეს მას“.

7. „დათა“ - სიტყვის ნაცვლად („ყოველთა დათა ჰმისახურებ-  
 და“). ხ<sup>1</sup>-ის გადამწერს აქვს „დღეთა“. ეს შეცდომა განმეორებუ-  
 ლია B რედაქციის ყველა ხელნაწერში.

8. A „და იგი იყოფვის აღექსანდრიას მონასტერსა ბანტასინს“.  
 ხ<sup>1</sup>-ში ასეა წარმოდგენილი:

„და იგი იყოფვის აღექსანდრია გან ხასინს“.

ე.ი. აქ გამოტოვებულია „მონასტერსა“. დ-ს ნაცვლად ამოკით-  
 ხულია დ და დ-ს ნაცვლად დ; და „ბანტასინის“, ამ უხზო ტომონი-  
 მური სიტყვის, პირველი მარცვალი ა გ ა ნ თანდებულად გაგებული,  
 მიმატებული აქვს წინა სიტყვას. B რედაქციის მომდევნო ხელნა-  
 წერებში ეს წინადადება ასეა გამართული:





„და იგი იყოფის ალექსანდრიისგან ხასინს“.

9. **A** „რ“ იყო იგი განთქმულ“. **b**<sup>1</sup>-ში **გ ა ნ** ზმნისწინა ცალკეა დაწერილი. **B** რედაქციის ყველა სხვა ხელნაწერებში ეს ცალკე დაწერილი **გ ა ნ** უკუგდებულა და ყველა ხელნაწერში არის „რ“ იყო იგი თქმულ“.

10. „თითოეულსა გინებასა მიუთხრობდეს“.

**b**<sup>1</sup>-ში „გინებასა“ ჩამატებულია შემდეგ წვრილი ასოებით. ამიტომ ცუდად იკითხება: „გ“ უფრო ჰგავს „ვ“-ს, ამიტომაც **B** რედაქციის სხვა ხელნაწერებში იკითხება: „თითოეულსა ვნებასა მიუთხრობდეს“.

11. „ვიხილე სახმე მისი და სამოსელი“.

**b**<sup>1</sup> -ში „სახმე“ სიტყვა გაყოფილია და **მ-ს** ნაცვლად არის **ჩა-ლი** (**საქ** **ჩა**), **A** 249-ში არის მხოლოდ **ს ა ხ**. საფიქრებელია, რომ ამ რედაქციათა არქეტიპში ეს სიტყვა სტრიქონიდან სტრიქონზე იყო გადატანილი, შემდეგ გადაწერებისათვის შეუმჩნეველი დარჩა მეორე სტრიქონზე დაწერილი სიტყვის ნაწილი - ერთმა გადმოიტანა მხოლოდ **ს ა ხ**, მეორემ კი დაუმატა - **ლი**.

ეს შეცდომა მეორდება **b**<sup>1</sup>, **b**<sup>2</sup>, **b**<sup>3</sup> და **b**<sup>4</sup>-ში. მაგრამ **b**<sup>3</sup>-ის გადამწერს, როგორც ჩანს, ყურადღება მიუქცევია იმისთვის, რომ აქ - „სახლი“ შეუფერებელია კონტექსტისათვის და გაუკეთებია შენიშვნა: „ვგონებ სახე“. **b**<sup>6</sup> **b**<sup>7</sup> -სა და **b**<sup>9</sup>-ში ან ამ შენიშვნის გამოა გასწორებული „სახლი“ „სახედ“, ან გადაწერებმა დამოუკიდებლად გაასწორეს ტექსტი.

12. **A** „მომეც მე სიმინდაჲ მხუმელად საწყაული ორი და ქსესტისა მეოთხედი ღვნოჲ ზედაშედ“.

**b**<sup>1</sup>-ის გადამწერს „მეოთხედის“ ნაცვლად დაუწყია წერა „ნახევარ“-ისა. დაუწერია მხოლოდ სიტყვის ნაწილი „ნახე“-და მერე გადაუხაზავს იგი. **ე.ი.ბ**<sup>1</sup> -ში წინადადება ასეა დაწერილი:

„მომეც მე სიმინდაჲ მხუმელად საწყაული ორი და ქსესტისა მეოთხედი ღვნოჲ ზედაშედ“. „ნახე“ გადახაზულია, მაგრამ კარგად იკითხება. **b**<sup>2</sup> და **b**<sup>5</sup> გვაძლევს ასეთ ვარიანტს: „მომეც მე სიმინდაჲ მხუმელად საწყაული ორი ქსესტისა ნახე მეოთხედი ღვნოჲ ზედაშედ“.

**B** რედაქციის ყველა სხვა ხელნაწერში ასეა გააზრიანებული წინადადება:



„მომეც მე სიმინდაჲ მხუმელად სანყაული ორი ქსესტისა და ნახე  
მეოთხედი ღვთო ზედაშიედ“.

13. „მაშინ წარვედ მეწისქვესა თანა“.

ბ<sup>1</sup>-ში „მეწისქვე“ - სიტყვის „მე“ მეღნიშობა გადაშლილი. ამის  
გამო B რედაქციის ყველა ხელნაწერში არის „მაშინ მე წარვედ წის-  
ქლსა თანა“.

14. ბ<sup>1</sup>-ში წინადადება „და ვარქუ ვრ და თქა“ მეორე სტრიქონ-

ზეა გადატანილი. ასე: „და ვა რქუ ვრ“. გადამწერს „ვარქუ“-ს  
პირველი ნაწილი გაუგია „ვზ“ ქარაგმიან სიტყვად, ხოლო „რქუ“ გა-  
უგია „რქუა“ ზმნად. ამიტომ ბ<sup>2</sup> ბ<sup>3</sup> ბ<sup>4</sup> ბ<sup>7</sup> ბ<sup>8</sup> ბ<sup>9</sup> ხელნაწერებში  
გვაქვს: „და ვაჲ ვარქუა ვრდა თქა“. მხოლოდ ბ<sup>5</sup>-ის გადამწერს  
აქვს სწორად ამოკითხული ეს ადგილი.

15. „მოცდა დღე ხუთშაბათი დიდი“.

ბ<sup>1</sup>-ში „დღე“-ს ნაცვლად არის „დიდი“.

„მოცდა დიდი ხუთშაბათი დიდი“. მექანიკურადაა გადასული ეს შეც-  
დომა ბ<sup>2</sup> ხელნაწერში. B რედაქციის სხვა გადამწერების მიერ კი ეს  
წინადადება ასეა გასწორებული: „მოცდა დიდი ხუთშაბათი“.

16. „და ვიხილე გზასა, ვრ ნავსა ჰგვანდა“.

ბ<sup>1</sup>-ში „ჰგვანდა“-ს ნაცვლად გადამწერს ამოკითხული აქვს „ად-  
ჰყუნდა“. ეს შეცდომა მეორდება B რედაქციის ყველა ხელნაწერში.

17. „დაყო ორმეოცი წელი სხა“.

„სხა“ - ბ<sup>1</sup>-ის გადამწერის მიერ ე -სა და დ -ს ადრევის გამო  
ამოკითხულია „სტყა“-დ. B რედაქციის ბ<sup>2</sup> ბ<sup>3</sup> ბ<sup>4</sup> ბ<sup>7</sup> ბ<sup>8</sup> ბ<sup>9</sup> ხელ-  
ნაწერები ასე ასწორებენ წინადადებას:

„დაყო ორმეოცი წელი სიტყვა“, ხოლო ბ<sup>5</sup>- „დაყო ორმეოცი წელი  
უსიტყველობითა“.

ზემომოყვანილი მაგალითებიდან შეგვიძლია დავასკვნათ რომ B  
რედაქციისათვის ამოსავალი არის ბ<sup>1</sup>(მე-14 ს.). ამასთან ბ<sup>5</sup> უშუალოდ  
ბ<sup>1</sup>-საგან მოდის, რადგან მასში სწორადაა ამოკითხული ბ<sup>1</sup> ხელნა-  
წერში ძნელად ამრსაკითხი სიტყვები, ან სხვა ხელნაწერებისაგან გან-  
სხვავებულადაა ტექსტი გასწორებული.

B რედაქციაში გამოიყოფა ხელნაწერთა ორი ჯგუფი, რომლებსაც,  
გარდა რედაქციის საერთო წაკითხვებისა, ახასიათებთ, თავის მხრივ,

განსხვავებული წაკითხვები. ეს ნუსხებია  $b^3 b^7 b^8 b^9$ , ისინი შეიცავენ თხზულების სამივე ნაწილს და  $b^6 b^{10} b^{11}$ , რომლებსაც თხზულების მესამე ნაწილი არ გააჩნიათ.

საილუსტრაციოდ მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

$b^1 b^2 b^5$

$b^3 b^7 b^8 b^9$

და იყო შემდგომად დღეთა მცირედთა

და იყო დღეთა მცირედთა

არა ვყავ შუენიერად ერთიცა წუე ლა გინა თუ კაცთა არა ვქმენ

არა ვყვ შუენიერად ერთიცა წუე ლა გინა თუ კაცთა შუენიერად არა ვქმენ

$b^1$

$b^2 b^5$

$b^3 b^7 b^8 b^9$

ა~დ მეცნიერებით ვიყო თავით ჩემით მათ თანა

ა~დ მეცნიერებით ვყო თავი ჩემი მათ თანა

არამედ უმეცრებით ვყო თავი ჩემი მათ თანა

$b^1 b^2 b^5$

$b^3 b^7 b^8 b^9$

ამით და ესევეითარითა განზრახვითა განვიდა უდაბნოდ

ამით და ესევეითარითა ზრახვითა განვიდა უდაბნოდ

ვიყო ვა უცხოა

ვიყო ვა უცხოა და მწირ

ამსგავსებდა იგი ვრმცა უგუნური იყო

ამსგავსებდა ყლსავე იგი ვრმცა უგუნური იყო

პიტირიონ

პიტირუნ

მღუიძარებასა შნსა

მღწეებასა შნსა

ჰბურავს

ხურავს

ხოლო იგი კრებულსა შორის ზარსა არს

ბ~ იგი კრებულსა შს ზიარსა არს

$b^5$ -ში „ზარსა“ სიტყვას კითხვის ნიშანი უზის. ჩანს,  $b^5$ -ის გადამწერისთვისაც გაუგებარი იყო ამ სიტყვის მნიშვნელობა. აქ „ზარი“, „მრავლის“, „ბრბოს“ მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი<sup>7</sup>.

6 აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973, თბილისი.



აჰა მოიწიხ ჩემდა ბერი  
 ცინმე  
 მოიდრიკა თავი  
 და ესევეთარი სიტყუა  
 მდაბალი ჰქუს ვს ძმათა  
 ნაწილი წა რა ეზიაროს

მო-აჰა-იწიხ ჩემდა ბერი ცინ-  
 მე  
 მოიდრიკა მუკლნი  
 და ესმა რა სიტყა მდაბალი  
 ჰქუს ვს ძმათა  
 კრცი და სისხლი წა რა  
 ეზიაროს

სჯობს უკეთუ დასჯდე და  
 შუნიერ  
 არა წარგიყვანებ შუნ აწ  
 ჩემთანა ამას წელსა  
 ად უკეთუ ცოცხალდა ვიყო  
 წინასა წელსა მოვიდე და  
 წარგიყუანო შუნ

სჯობს უკეთუ დასჯდე შუნიერად  
 არა წარგიყვანებ შუნ აწ ჩემ-  
 თანა  
 არ არის

ხმე უაწენგიქეც ეკლესიად  
 ვიხილე ყლისა თითოეულისა  
 მათგანისა სახე იგივე  
 სულნი მათნი ცხოველ წუე  
 დმსა  
 დადრეკილ იყო ზურგი ვად  
 ვდის თავი მისი მუკლთა  
 მისთა ჩაჩრილ იყო

ხ მოვიქეც ეკლესიად  
 ვიხილე ყლისა თითოეულისა  
 მათგანისა სახე იგი  
 სულნი მათნი ცხოველ ცათა ში-  
 ნა  
 დადრეკილ იყო ზურგი და მუხლ-  
 თა მისთა ჩაჩრილ იყო

**ბ<sup>1</sup>**  
 იყო ეკლესია იგი  
 შებერილი გრძელად

**ბ<sup>2</sup> ბ<sup>5</sup>**  
 და იყო ეკლესია  
 იგი შეკრული  
 გრძელად

**ბ<sup>3</sup> ბ<sup>7</sup> ბ<sup>8</sup> ბ<sup>9</sup>**  
 და იყო ეკლესია  
 იგი შეკრული კამა-  
 რედად

**ბ<sup>1</sup> ბ<sup>2</sup> ბ<sup>5</sup>**  
 ნებაა მისი

**ბ<sup>3</sup> ბ<sup>7</sup> ბ<sup>8</sup> ბ<sup>9</sup>**  
 ლუაწლი მისი

და გზა მყვა ვრ მილიონ ერთ და ვრ ვლე მილიონ ერთ

ტექსტობრივი მონაცემებით ასევე ცალკე ჯგუფს ქმნის ხელნა-  
 წერები **ბ<sup>6</sup> ბ<sup>10</sup> ბ<sup>11</sup>**, ისინი განსხვავდებიან B რედაქციის ყველა  
 დანარჩენი ნუსხისაგან. ზოგჯერ მათ აქვს ერთნაირი წაკითხვები:



B რედაქციის სხვა ხელნაწერები **b<sup>3</sup> b<sup>10</sup> b<sup>11</sup>**

კასრად თუსა	პალატად თუსად
რა იყოს შინდა საფასე	რა იყოს შინდა საუნჯე
კარსა ზა კასრისა	კარსა ზა პალატისა თუსი-
თუსისასა	სასა
და იგინი სცემდეს და	და იგინი სცემდეს
ფერკითა ითრევდეს	
მაკურთხე მე	მაკურთხე მე, აბბა, დედაო
თქუნ ხართ ცოფნი	თქუნ ხართ სულენი
ესე ქალი მიღებულ არს	ესე ქალი ცნობა მიღებულ არს
და იგინი სცემდეს და	და იგინი სცემდეს
ფერკითა ითრევდეს	
რა განვერე მე ამას სა-	რა განვერე მე ამასა ამას
წუთოსა	საწუთოსა

ხშირად ამ სამ ხელნაწერში გამოტოვებულია წინადადებები, რომლებიც არის B რედაქციის ყველა სხვა ხელნაწერში:

B რედაქცია	<b>b<sup>6</sup> b<sup>10</sup> b<sup>11</sup></b>
უამსა ერთსა	-
და ვითარცა ესე ქმნა	-
და მოსცთენ	-
შეკრა ჯაჭვთა მტკიცითა რკინისაჲთა	-
და შრქუა მას სახელითა მის მხოლო-	
ასათა რომელი ამადლდა ძელსა ზედა	
და იქსნნა ნათელღებულნი, ეგვდრე	
მას და შეგეწიოს შენ	-
წარვიდოდა კარსა. ხოლო მე განსრულ	
ვიყავ გარე	-
ვა ბილვითა ვიხილე შევიპყარ	
ხელთა	-
რაათა დავჰბანდეთ ფერკთა	-
ამისთვის სძულდა მალთა ვადის დაცა	
არაგინ ჯდის მის თანა	-

- არცა ერთსა მას ზუთასთაგანსა -
- ყოველთა უამთა მისთა -
- არცა ნატეხი პურისაჲ მიიღო -
- აჲდ შუჲდნიედ და აგინებდეს ყოველნი -
- შენ უზი უდაბნოსა და გონებაჲ შენი -
- იარების სოფელსა -
- რჲ არა უნებს მაგას რაჲთა მივესცეს -
- სხუასა წიგნი ესე -

აქს და ვილოცავ, რათა მეც  
ვოქმენ მსგავს ამისსა რ<sup>მ</sup>ეული-  
სა. ესმა რაჲ ესე ყველთა:  
შეურდეს ფრკვა მისთა და აღ-  
უარებდეს: რომელმან მე ჩუნ-  
განმან ნარცხი პინითა გარდა-  
ასხის მას და სხუამან ქურთი-  
თა შემუსრა და მყოფუ შთაუსხა  
ცხურთა და თათეულსა გინებასა  
მიუთხრობდეს. ხ<sup>მ</sup> ბერძან უო



ლოცვა და გამოვიდა. შუღ მცირედთა  
დღეთა, ვითარ ვერ იღებდა ღიღებასა  
და პატრიცისა ყოველთასა, დაუძძიმდა  
და მერმე გამოვიდა ფარულად მონას-  
ტრით და ვიდრე ვიდა, გინა სადა და-  
ადგრა, გინა სადა აღესრულა, არავინ  
ცნა თუნიერ ღმერთისა, რლსა არს  
ღუბა უკუნიითი უკუნისამდე ამინ.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ვერსიაში, არაბული ვერსიის მსგავსად, წმინდა ნისიმეს მონასტერში ცხოვრების ამბავი ასე მთავრდება: „ამას ესევითარსა ყოფასა შინა გარდახდა ორმეოცი წელი და უდაბნოს დაეყო ორმეოცი წელი და განსრულდა ოთხმეოც წლად“.

არაბულ ვერსიაში სხვა ეპიზოდის თხრობა იწყება, ქართული ვერსია კი უბრუნდება ისევ წმინდა ნისიმეს მონასტერში ცხოვრების აღწერას<sup>24</sup>.

ეს შედარება საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ქართული ვერსია ნათარგმნია არაბული სინური ვერსიიდან და შემდეგ არის შეესებული ეფრემ ასურის თხზულების იმ მონაკვეთის თარგმანით, რომელიც შეიცავს ცნობებს „ნისიმეს ცხოვრების“ შესახებ. ამავდემონაკვეთის გავლენით არის შეცვლილი ქართულ ვერსიაში წმინდანის სახელი **სსჟა** = „პიტრიონი“ და მონასტრის სახელწოდება **سرايا** = მონასტერი ტაბენელთაა.

-----  
 24 იმავე პირობებს უნდა ვუქონდეს ადგილი სირიული ვრცელი რედაქციის ჩამოყალიბების დროს, მაგრამ სირიული ვერსიისათვის, ჩვენის აზრით, შესავსებად გამოყენებული უნდა იყოს „ლავსაიკონიდან“ ნაწყვეტი, რადგან რამდენიმე ფრაზა სირიულ ვრცელ რედაქციაში ემთხვევა „ლავსაიკონს“ მაშინ, როცა ისინი არაა არც ეფრემ ასურის თხზულებაში და არც ქართულ ვერსიაში.



აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ პალადი ელენოპოლელის „ლაგსაიკონის“ არაბული ვერსიის **نظيرين** ქართულ „ლაგსაიკონის“ ში<sup>25</sup> ყოველთვის „ტაბენესი“ შეესაბამება.

რატომ იხმარება არაბულ და სირიულ ვერსიებში **الصنف** **صنف** ტაბენესის ნაცვლად, ჩვენ ვერ გავარკვეით. ვერცერთ ავტორთან, რომელნიც ეხებიან ეგვიპტის მონასტრებს, ჩვენ მონასტრის სახელწოდება **الصنف** ვერ ვნახეთ. ტაბენესი, როგორც ფიქრობენ, „პალმებით მდიდარ ადგილს“ ნიშნავს.<sup>26</sup> ამ მნიშვნელობას, ჩვენის აზრით, ვერ დავუკავშირებთ **صنف** (წყობა, რიგი, მწყარივი)-ის მნიშვნელობას. ერთი რამ გვინდა შევნიშნოთ: პალადი ელენოპოლელის „ლაგსაიკონის“ ერთ თავში: „განწესებათათვის საკრებულოთა, რომელი განიწესნის ანგელოზისა მიერ“, ნათქვამია: ანგელოზმა მისცა წმიდა პახუმს „წიგნი რვალისა“, რომელსა „წერილ იყო ესრეთ“: „უბრძანა ოცდაოთხად დასად განწესებაჲ ძმათა სახედ ოცდაოთხთა მათ ასოთა ანბანისათა და თითოეულსა დასსა სახელსდგა ასოთაებრ ელინთაჲსა აღტა და ბეტა. და შემდგომითი შემდგომად ვიდრე დასასარულისა ასოდმდე, ესე იგი არს ჯ. რამეთუ რაჟამს იკითხვიდეს, გინა გამოიძიებდეს არხიმანდრიტი რომლისაგე დასისათვის, ჰკითხოს შემდგომსა თვისსა, ვითარმე: ვითარ არს დასი აღფაჲსა, გინა ვითარ იყოფების მწყობრი ბეტაჲსაჲ... მარტივთა და მშუდთა უწოდა იოტი, ხოლო ფიცხელთა და უძნელესთა სახელსდგა ქსი, და ესრეთ განწესებულებისაებრ და დაწყნარებულებისა და გონებისა კეთილისა და სახისა და ცხორებისა თითოეულისა დასისა იყვის შემსგავსებით სახელცა“. ქვემოთ: „იყო მონასტერი დედათა, რომელთა ესევეითარი აქუნდა მოქალაქობაჲ და იყვნეს რიცხვთ ოთხასნი მითვე წესითა და მითვე განგებითა“<sup>27</sup>.

შეიძლება სწორედ ზემოხსენებული „დასი“ და „მწყობრი“ იგულისხმებოდეს არაბულ და სირიულ ვერსიებში დადასტურებულ მონასტრის სახელწოდებებში.

25 Sin № 542, გვ. 127.

26 A m e l i n e a u E., Geographie de l'Egypte, p.469.

27 A-143, გვ. 51.

ქართულ რედაქციათა ურთიერთმიმართების გარკვევისათვის გამოვიყენეთ უმთავრესად არაბული ვერსიის სინური რედაქცია ( S ), რომელიც მიგვაჩნია ქართული თარგმანის დედნად. გზადა-გზა საკონტროლოდ ვიყენებდით სირიული ვერსიისა ( Br.P. ) და არაბული კარშუნული რედაქციის ( K ) ჩვენებებსაც<sup>I</sup>.

ჩატარებული კვლევის შედეგად მიველით იმ დასკვნამდე, რომ ქართული ვერსიის სამი რედაქცია ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოდის ერთი არქეტიპის სხვადასხვა ხელნაწერიდან, რომლებიც ამჟამად ხელთ არა გვაქვს და შეიძლება მათ ჩვენამდე არც მოუღწევიათ.

ამ ვარაუდის საფუძველი მოგვცა ქვემოთ ჩამოთვლილმა შედეგებმა:

1. არის შემთხვევები, როცა A და B რედაქციების წაკითხვები ერთნაირია და განსხვავდება C რედაქციისაგან.

2. ზოგჯერ A და C რედაქციები ემთხვევა ერთმანეთს და B რედაქცია განსხვავებულია მათგან.

3. სამივე რედაქცია განსხვავებულია.

4. განსხვავებული წაკითხვებიდან ხშირ შემთხვევაში ერთ-ერთი ემთხვევა არაბული სინური რედაქციის წაკითხვებს, ან აიხსნება არაბულიდან არასწორი თარგმანით.

მოტანილი მაგალითებით შევეცდებით დავასაბუთოთ ჩვენი მოსაზრება და ზოგ შემთხვევაში დავადგინოთ, რომელი წაკითხვა უნდა ყოფილიყო თავდამირველ ტექსტში.

I Br, P და K-ს ჩვენებებს მოვიტანთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ისინი მხარს უჭერს ქართული რედაქციების წაკითხვებს, S -ისგან განსხვავებით.



I. A და B რედაქციების წაკითხვები ერთნაირად და განსხვავდება C რედაქციისაგან

ეს მაგალითები ჩვენ რამდენიმე კატეგორიად დავყავით.

I. AB რედაქციები ემთხვევა არაბულ ვერსიას, C რედაქცია განსხვავებულია მათგან.

AB	C	S
და კედელნი გამოწერი- ლნი ხითა დანაკის კუდისაჲთა	დაჰკიდულნი და გამო- წერილნი ხითა დანა- კის კუდოვანიითა	وكانت جدرانها والمشرب الخلل
დღეთა მისთა სიგრძე- სა	ყოველთა დღეთა მოუწ- ყინებელად	طولها يوما
ინება ღმერთმან გარ- დაიცვალნეს მშობელნი მისნი	ენება ღმერთსა გარ- დასცვალნა მშობელნი მისნი	احب الله كل توفيا والديها
ქრისტე ხოლო მარტოდ	ქრისტე მარადის მცველად	السيح وحده
სიცხისაგან მზისა	შეჰრაცხისაგან დღი- სა	من حر الشمس
რაჟამს ეწია მას ჰა- ერი მძიმე	რაჟამს ეცა მას სიმ- ძაფრე ჰაერისაჲ	فلما لحقها السموم
„ეწია“ და „ეცა“ ვლებული და	შეიძლება გრაფიკულ ნიადაგზე იყო შენაც- ვლებული და	
არამედ მე შევიწყნა- რო ესე ღმერთისათჳს და შევიყვანო ერთსა სენაკსა, რომელ არს კარსა თანა	არამედ მე შევიყვანო ესე ღმერთისათჳს და შევაყენო ერთსა სე- ნაკსა, რომელ არს კარსა თანა	لكني ارحمها منجل الله وادخلها واربطها بحض هذه الحوت الذي طي الباب

2 ამ მაგალითების დიდი ნაწილი განხილულია წინა თავებში სხვა დანიშნულებით. ამიტომ მსჯელობას მათ შესახებ აქ არ ვიმეორებთ.



სახელისა მის მხოლოა-  
სათა

სახელითა მის ქრის-  
ტესითა

რამათ იყოს ჩემდა  
სარგებელ წინაშე მის-  
სა

სარგებელ ყოს იგი  
უფალმან ჩემთვის წი-  
ნაშე მისსა

لي اجر تدايه

რომელი ამადლდა ძელ-  
სა ზედა

რომელი ამადლდა ჯუ-  
არსა ზედა ნებსით

الذي ارتفع على العود

ხოლო მას არა უნდა  
სხუასა ადგილსა შეს-  
ღვის

ხოლო მას არა ენება  
სხუასა სახლსა შეს-  
ღვა

لم يهوى دخول موضع  
اخر

რამათ ცენა მიზეზი  
რა რა საფასისა თქუა,  
რომელი წარწყმიდა

რამათ ცენა ზედმიწევ-  
ნით რა არა ჯორჯი-  
ელისა საფასისა  
თქუა წარწყმედა

ان ارف ما هو الكثر  
الذي اهلك

არად შერაცხა სიტყუაჲ  
მათი

არარად შერაცხა სიტ-  
ყუაჲ მათი კაცთა  
სათნოებისაჲ

ما كانت تعد كما هم

ცათა შინა

ცათა შინა და ცხო-  
რებაჲ საუკუნოა

في ما

მაშინ ნეტარმან ნისი-  
მა

მაშინ სამგზის ნე-  
ტარებით შემკულმან  
ნისიმამ

ان انسيه الطوبانيه

ვილცავ, რამათ მეცა  
ვიქმნე მსგავს ამისა  
რჩეულისა

ვილცავ წინაშე ღვთი-  
სა, რამათაც ვიქმნა  
მსგავს ამისა ცოფისა  
წინაშე თქუნსა, ხოლო  
ფრიად გონიერისა წი-  
ნაშე ღმრთისა, რამეთუ  
ამისთვის მოვივლინე  
ღმრთისა მიერ აქა,  
რამათ ვიკურთხო ამის  
მიერ

وان اطلب من الله  
ان اكون مثها

და მოვიკითხე მეცა	და მოვდერკ და თაყუ- ან-ვეც და მოვიკით- ხე მეცა	خاصة الشيخ واحد بارك من جميع الاعمال الصالحه
რამეთუ იყო ბერი ერ- თი შუენიერი და კურ- თხეული და ყოვლითურთ შემკჳ ი საქმიანა კე- თილითა	რამეთუ იყო ბერი ერ- თი მაღლითა სულისა- ათა განშუენებული და კითხული წიგნთა საღმრთთა ფრიად, ყო- ვლითურთ შემკჳლი საქმიანთა კეთილითა	

ერთ-ერთი მიზეზი C რედაქციის გავრცობისა უნდა იყოს ქა-  
რაგმით დაწერილი „კახლი“ სიტყვის არასწორად გახსნა: „კურ-  
თხეულის“ ნაცვლად „კითხული“. წინა წინადადებაში სწორედ წიგ-  
ნებზეა ლაპარაკი.

მოვართვ საკმარი მი- სი	მოვართვ სიმინდაა იგი და ეკლესიით ზედაშე	حيثما ساجد
ვითარცა შევიდის ერ- თი მათგანი, მოიკით- ხის ძმაა	ვითარცა შევიდის ერ- თი მათგანი ეკლესი- ად და ილციის და მო- იკითხის	و كما قدم واحد منهم كان مسلم على اخيه
მაშინ წარვიდა მეკარე იგი	მაშინ წარვიდა ბერი იგი მეკარე	فذهبوا الخوات إليها

ამ შემთხვევაში შეიძლება არაბულ გრაფიკულ ცთომილებასთ-  
თან გვექონდეს საქმე. იმ ნუსხაში, საიდანაც ითარგმნა ქართული,  
შეიძლება იყო **الخوات** მეკარე, და არა **الخوات**. შეიძლება  
ვივარაუდოთ ისიც, რომ ქართული ვერსიის მთარგმნელმა ამოიკით-  
ხა **الخوات**, როგორც **الخوات**.

დავჳკჳმენით კარნი ეკ- ლესიისანი გარენი და შინანი და დავგრძალე- ნით	დავგრძალენით კარნი ეკლესიისანი კარენი და შინანი	اظقت ارباب الكنسه الخارجيه والداخله ونحرننا
---	---	---



მოვართუ მსწრაფლ სატ- მოვიწიე რაა იგი مثل احاجه سجد  
 მარი მისი, ვითარცა ჩუ- უკმდა انما  
 ეულ იყო  
 ისმინე ჩემი, შულ ისმინე, შულ اسمع لي  
 ჩემო

ზოგჯერ A B რედაქციებსა და არაბულ ვერსიაში ერთგვარი გრამატიკული ფორმებია ნახმარი, C რედაქციაში - მათგან განსხვავებული:

რაათამცა გამობრინა შუენიერებაა თუსი	გამოჩინებად შუენიე- რებისა თუსისა	ان تظهر حسنها تهدت و بكت وقالت اراني قد فرمت
სულთ-ითქუნა და ტირი- და და თქუა	სულთქუმით იწყო ტირი- ლად და იტყოდა	
მიხილა, რამეთუ შემე- შინა	მიხილა შეშინებულნი	

2. C რედაქცია ემთხვევა არაბული სინური რედაქციის ტექსტს და განსხვავდება AB რედაქციათა ჩვენებებისაგან. ამ შემთხვევაში, ჩვენი ვარაუდით, არქეტიპში C რედაქციის წაკითხვა უნდა ყოფილიყო.

და მე ვარქუ, ჰე	და მე მხიარულად ვარ- ქუ: ჰე, მამაო	قلت له نعم يا ابيه وانا فرح سرور
მამინ თქუა	ხოლო მამინ იწყო თქუ- მად	فابتدا الرجل قالا
დავარდა წინაშე მისსა	დავარდა წინაშე ფერ- კთა მისთა	سجدت على ارجله

3. AB რედაქციებისა და განსხვავებული C რედაქციის წაკითხვათაგან არაბულიდან თარგმნის დროს მთარგმნელს შეეძლო როგორც ერთი, ისე მეორე გამოთქმა ეხმარა.

AB	C	არაბ.
უმეტეს	უფროას	افضل من
ოდესმე აიღ.ს კოცაა	ოდესმე აიღის ჩადვი	ربما حطت جره ما هنا واحده حقا
ერთიღა სხუაა არს ვნე- ბული სამაგროსა	ერთი ხოლო არსდა სამაგროსა	في الطبخ



იქმნა ხილვამ მისი  
მსგავსად აღისა ცეც-  
ხლისაა

იქმნა ხილვამ მისი  
ვითარცა აღი ცეცხლი-  
საა



4. სამივე რედაქციის წაკითხვა განსხვავებულია არაბუ-  
ლი ტექსტისაგან:

AB

G

S

ვეძიებდე სულისასა

ვეძიებდე სულისა  
ცხოვრებასა წარუვაღსა

لا نبي اطلب  
الخلاص

ვითარცა ეზიარა უამსა,  
გამოვიდა და წარვიდა

ვითარცა ეზიარა, წარ-  
ვიდა

فصلت ثم انصرفت

ძოვს მწუანესა, განძ-  
ღების

ძოვს მწუანვილთაგან,  
განძღების

يدوس العشب ولا  
يشبع

მოვიწიენით კარსა. ვი-  
თარცა განვიდოდა, თქუბა  
ბერმან წმიდამან

მივიწიენით კარსა ქა-  
ლაქისასა, ვითარცა გან-  
ვიდოდა კარსა, მრქუბა  
მე

لما بلغنا الباب  
الخاص قال الشيخ

რომელნი მომკუდარ იყუ-  
ნეს სოფლისაგან, არამედ  
სულნი მათნი ცხოველ  
წინაშე ღვთისა

რომელნი მომკუდარ  
იყუნეს, ხოლო სულნი  
მათნი ცხოველ იყუნეს  
წინაშე ღვთისა

لانهم تد اطوا  
التسعم في العالم  
واحيوها لله

ქართულ ტექსტში შეინიშნება არაბიზმი - **اطا التمس**

მოკლა, ჩაკლა თავისი თავი, ე.ი. ეწეოდა ასკეტურ ცხოვრებას.  
ქართულ ვერსიაში გადმოტანილია სიტყვასიტყვით. თურმეობი-  
თის ხმარება კი ქართულ წინადადებაში გაპირობებულია არაბუ-  
ლი **اذا** ნაწილაკით.

ქართული ვერსიის ზოგი ფრაზის შესატყვისი არაბულ სინურ  
ვერსიაში არ მოიძებნება.

AB

რაჟამს მოგკუდე  
არ დავიტევა მისგან ერთიცა  
საჯმარად თავისა თუსისა

ჰაერისაგან ღამისა  
მუნთქუესვე შემდგომად ზიარე-  
ბისა

C

ოდეს მოგკუდე  
არა დავიტევა მისგანი ერთი-  
ცა თავისა თუსისა საჯმარი,  
არამედ განაბნია და მისცა  
იგი გლახაკთა მცნებისაებრ  
უფლისა.  
სიმკნესლა შუენიერისა დედა-  
კაცისასა  
ჰაერისაგან ნეფხვისა ღამისა  
ვითარცა ეზიარა



ამ ფრაზებს არ ეძებნებათ შესატყვისი არც სირიულ ეგრის-  
სსა და არც კარშუნულ რედაქციაში.

II. A და C რედაქციები ერთნაირია და განსხვავდება  
B რედაქციისაგან.

I. AC რედაქციათა წაკითხვა ემთხვევა არაბულ სინურ ეგრ-  
სიას, B რედაქცია კი განსხვავებულია. განსხვავებები  
ზოგჯერ გრაფიკულ ნიშნავზეა გაჩენილი.

რამთა აღვიდე მონას-      რამთა განვიდე მონას-      ان اصعد الى  
ტერსა ანბა ზენუნისა-      ტერსა ანბა ზენონისა-      اير انبا زنون  
სა                                      სა

AC რედაქციების „აღვიდე“ სრული შესატყვისია არაბულ  
اصعد -სი. გარდა ამისა, AC რედაქციაში საკუთარ სახელს  
- „ზენუნი“ - არაბული ფორმა აქვს - زنون, ხოლო B  
რედაქციის „ზენონი“ - გვიანდელ ფორმას ჰგავს.

AC                                      B                                      არაბ.  
საკუთარელს                      შულო                      باحيبي  
სვს წყალი ველური      სვს თაფლი ველური      شرب من ماء البعاج



B რედაქციაში „ველური თაფლი“ ბიბლიური ტექსტების გაცემის  
 ღონით უნდა იყოს გარეწილი.

AC	B	S
ას ოცი წელი	ასი წელი	سبعون و عشرون سنة
აგრეთ არს სიყუარული ღვთისაჲ	არს იგი საყვარ ღი ღვთისაჲ	كذلك يحب الله

B რედაქციის ჩვენება ქარაგმით დაწერილი სიტყვის სყრღი  
 - სხვაგვარად გახსნის შედეგია.

AC	B	S
იქ იყოფოდა, უამსა ძილისასა შევიდის და მერმე განვიდის	უამსა ძილისასა შე- ვიდის სხუასა სენაკ- სა და მერმე განვი- დის	فيه كانت كمنخل وتخرج
ვიხილე სახშ მისი და სამოსელი	ვიხილე სახლი მისი სამოსელი	رايت شكله ولباسه
გამოწერილნი	მოწერილნი	محرره
იკითხავნ მარადის წარჰვლიდა კარსა	იკითხა ვნ წარვიდოდა კარსა	كانت تدمن على قراءه

ბ: არაბულ ვერსიაში ქართულის შესატყვისი წინადადება არ არის:

AC	B
ქუეშე სართულთა მათ შემკობილთა	ქუეშე სართულთა მათ შემ- კულობითა
ხოლო ესე ქალი იყო დაშნ და ყუდრო	ხოლო ესე ქალი იყო შუდ და ყუდრო

ეს ფრაზა არ არის არც არაბულ სინურ და არც არაბულ კარ-  
 შუნულ რედაქციაში, მაგრამ არის სირიულ ვრცელ რედაქციაში.

„ხოლო ეს ქალი სათნო და წყნარი...“



სავარაუდოა, რომ ეს ფრაზა იყო იმ ხელნაწერში, რომელიც იყო უშუალო დედანი ქართველი მთარგმნელისათვის.

გ. ქართული რედაქციები შინაარსობრივად სხვაობენ არა-ბული სინური რედაქციისაგან:

<b>AC</b>	<b>B</b>	<b>خطر طى بالما مع حار نكر, قالت</b>
განჭურდა გულითა, აღტირდა და თქუა	განჭურდა გულითა და სულითა, აღტირ- და და თქუა	მოუვიდა თბეში აზ- რი მხურვალე ტი- რილთან ერთად და თქვა.
ვითარცა ვიხილე, შევიპყარ ხელითა	ვითარცა ხილვითა ვიხილე, შევიპყარ ხელითა	<b>جدتها من يد العدو</b> გამოვტაცე მტერს (ეშმაკს) ხელიდან

B რედაქციაში გვაქვს პარანომაზიის შემთხვევა, რომელიც დამახასიათებელია სემიოტური ენებისათვის. შეიძლება დავუშვათ, რომ ქართული ვერსიის არაბულ დედანში იყო B რედაქციის წა-კითხვა, განსხვავებული სინური არაბული რედაქციის ზემომოყვან-ნილი წაკითხვისაგან.

III. AB და C რედაქციები სხვაობენ, ერთ-ერთის წა-კითხვა კი ემთხვევა არაბული სინური რედაქციის (S) ჩვენებას

I. არაბულ ვერსიას ემთხვევა A რედაქცია

A არამედ მოვისულელეო თავი, ცოფად ვიქცეოდი

B არამედ მოვისულულეო თავიცა ფრიად და ვიქცეოდი

C არამედ მოვისულელეო თავი ცოფად ( - ცნობად) და ეგრეთ ვიყოფოდი

S **لكى اتجانن, احقق**

არამედ მე მოვიგიჟიანო თავი და მოვისულელეო.

- A მაკურთხე მე, დედაო  
 B მაკურთხე მე  
 C მაკურთხე მე, მკვევალ კრისტსო  
 S على طي ساء  
 დამლოცე მე, დედაო

- A და იგი იყოფვის ალექსანდრიას მონასტერსა ბანტასინს  
 B და იგი იყოფვის ალექსანდრიისაგან ხასინს  
 C არს იგი ალექსანდრიას მონასტერსა ტანტასინას

وهي في الإسكندرية ... المعروف بدير البتطين

- A რომელი იგი მიქადე შარშა  
 B რომელი იგი მიქადე მე, ღირსო  
 C რომელი იგი აღმითქვ წარყუანებად შუნ თანა  
 S على اولي طي اول  
 რომელიც დამპირდი შარშან

2. არაბულ ვერსიას ემთხვევა B რედაქცია

- A მაშინ იწყო და თქუა ტირილსა თანა, რამეთუ მრავალსა ათორ-  
 მეტსა წელსა წინათ ვჰმსახურებდი მე ეკლესიასა, ვითარ-  
 ცა ესე ღღეს მხედავ  
 B მაშინ იწყო და თქუა ტირილსა მრავალსა: ათორმეტსა წელ-  
 სა წინათ ვჰმსახურებდი მე ეკლესიასა, ვითარცა ესე  
 ღღეს მხედავ  
 C იწყო და თქუა ცრემლით და მწუხარებით: ათორმეტსა წელსა  
 წინათ ვჰმსახურებდი მე ეკლესიასა, ვითარცა ესერა ღღეს  
 მხედავ.

- S وابتدا يقول لي مع بك كبر قال منذ اثنا عشر سنة، وأنا تيم  
 الكتب طما أنا اليوم  
 იწყო (და) მითხრა მე მრავალ ტირილთან ერთად, თქვა:  
 ათორმეტი წელის წინათ მე მსახური ვიყავი ეკლესიისა,  
 როგორც მე ვარ ღღეს.



ქართული ვერსიის სამივე რედაქცია სიტყვასიტყვით იმეორებს არაბულ წინადადებას. როგორც ზემოთ აღნიშნული გვაქვს, არაბულ დაკარგული ქართულში არც ერთი ლექსიკური ერთეული არაბული წინადადებასა. წინადადებაში სიტყვების რიგიც კი ერთნაირია.

ჩვენის აზრით, განსხვავება პუნქტუაციურ ნიადაგზეა მომხდარი.

A რედაქციამ არქეტის (ამჟღერად B რედაქციის ჩვენება) ფრაზაში წინადადების გამყოფად შემოიტანა კავშირი „არამეთუ“, მაგრამ იგი ჩაწერა არა მის ადგილს, არამედ „მრავალსა“ სიტყვის წინ, რითაც ეს უკანასკნელი მომდევნო წინადადებას მიაკუთვნა და მივიღეთ არა „ტირილსა თანა მრავალთა“ (არაბ. **كثير مع**), არამედ „მრავალსა ათორმეტსა წელსა წინადათ“.

A ჩუენ კაცნი ცოდვილნი ვართ, რომელი სთქუ, ქრისტეს მოყუ-  
არეო, მამაო.

B ჩუენ კაცნი ცოდვილნი ვართ და არა ღირს ვართ, რომელი  
სთქუ, ღმრთის მოყუარეო.

ჩუენ კაცნი ცოდვილნი ვართ და არა ვართ ღირს სიტყუასა  
მაგას, რომელი სთქუ, მ მონაო ქრისტესო.

S **ما نحن فاس خطا، ما نسهل ما قلت يا صبا المسح**

ჩვენ კი ცოდვილი ხალხი ვართ და ღირსი არა ვართ რაც  
ეთქვი, ო, ქრისტეს მოყვარევ.

A რედაქციაში გამოტოვებულია „არა ღირს ვართ“. ეს გამოწვეულია იმით, რომ წინა წინადადება მთავრდება „ვართ“ სიტყვით.

C რედაქცია კი წინადადებას აგრცობს.

3. არაბული ვერსია განსხვავებულად ქართული ყველა  
რედაქციისაგან.

A შულო, უკუეთუ მისმინო და შუდე შუობს შენთჳს და შეუნიერ  
არს.

B შულო, სუობს უკუეთუ დასჯდე და შეუნიერ.

C შულო, უკუეთუ მისმინო და შუდე, კეთილ არს და შეუნიერ.



ო, შევილო, რომ დამიჯერო მე და დაჯდე, სჯობს შენთვის და უკეთესია.

სამივე რედაქციაში ჩანს არაბული სინური ვერსიის კვალი. **احسنك** სჯობს შენთვის, გადმოტანილია **احسن** - სიტყვის პირველადი მნიშვნელობით „მშვენიერი“... აქაც არაბიზმი ჩანს ქართულ ტექსტში.

**A** და **ჰრქუა** მათ: მიუშთ მაგას, რამეთუ არა ჰნებაგს მიცე-  
მად წიგნი ესე სხუასა.

**B** და **ჰრქუეს** მას სხუათა: უტემე ეგი, რამეთუ არაგისდა  
ჰნებაგს მიცემად წიგნი ესე.

**C** და **თქუეს**: აცადე, რამეთუ არაგისდა ჰნებაგს მიცემად  
წიგნი ესე.

და **თქუეს**: აცადე, რამეთუ არაგისდა ჰნებაგს მიცემად  
წიგნი ესე.

قال بعضهم لبعض ترا ايش في هذا الصحف الذي لا تله

უთხრეს ერთმანეთს: ნახე, რაა ამ წიგნში, რომელსაც არ  
აძლევს არაგის.

განსხვავება ქართულსა და არაბულ სინურ ტექსტში, ჩვენის  
აზრით, გრაფიკულ ნიადაგზე უნდა იყოს წარმოშობილი: არაბულ  
სინურ ხელნაწერში ხშირად, და ამ შემთხვევაშიც, **ك** ასო და-  
წერილია **ك** -ს სახით და ზოგჯერ წააგავს ღამს და ზოგჯერ  
ალიფს. აქაც **ك** „ნახა“ ზმნის მეორე პირის იმპერფექტის  
ფორმა (ქრისტიანულ არაბულში აღნიჭ მკაცრას ნაცვლად ალიფ-  
მამდუდათია გადმოცემული) წაკითხულია **ك** „დატოვა“,  
ზმნის ბრძანებით კილოდ. სამივე რედაქციაში ეს აზრია სხვა-  
დასხვა სიტყვით გადმოცემული: **A** მიუშთ მაგას, **B** უტემე ეგი,  
**C** აცადე.

ზემოთ მოტანილი მაგალითებიდან შეიძლება დავასკვნათ:

1. „ნისიემს ცხოვრების“ ქართული ვერსია უმთავრესად წარ-  
მოადგენს არაბული სინური რედაქციის სიტყვასიტყვით თარგმანს.
2. ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერები ჯგუფებიდან სამ რედაქ-  
ციად



3. სამივე რედაქციაში არის თავდაპირველი ტექსტიდან, ანუ ამ რედაქციათა არქეტიპიდან შემორჩენილი წაკითხვები, რაც ტურდებია არაბულ დედანში. თუ ამ წაკითხვების მიხედვით აღვადგინოთ არქეტიპის სავარაუდო ტექსტს, იგი ზედმიწევნით ახლოს იქნება არაბულ სინურ რედაქციასთან. რაც შეეხება იმ წინადადებებსა და სიტყვებს, რომლებიც არაა არაბულში და არის ქართული ვერსიის სამივე რედაქციაში, ზოგი მათგანი შეიძლება მივიჩნიოთ მთარგმნელის მიერ შეტანილად ტექსტის განმარტების, ან შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით, ზოგი კი შეიძლება მოდიოდეს არაბული სინური რედაქციის იმ ხელნაწერიდან, რომელიც ქართული თარგმანის უშუალო დედანი იყო.

VII. თხზულების წარმომავლობის საკითხისათვის

შესავალში უკვე აღვნიშნეთ, რომ ნისიმეს (ანუ ონესიმას), ილარიას, მარი მეგვიპტელის, მარინას, არქელიდეს, და სხვათა ცხოვრებებს განიხილავენ, როგორც ლეგენდარული პროზის ნიმუშებს<sup>1</sup>. ამ თხზულებათა წყაროდ ძველი ეგვიპტური თქმულებებია მიჩნეული<sup>2</sup>.

ასკარ ლემმა „ილარიას ცხოვრება“ დაუკავშირა ბტოლემეანთა ეპოქაში შექმნილ სერაპისის კულტის ამსახველ ლეგენდას ბენო რეზის შესახებ<sup>3</sup>. ცნობილია, რომ ძველი ეგვიპტის საკულტო სამსახურებშია დიდი როლი შეასრულეს ქრისტიანული მონაზვნობის ფორმების ჩამოყალიბებაში. სერაპისის სამსახური კი თავისი ფორმით ემთხვევა ეგვიპტური მონაზვნობის ერთ თავდაპირველ ფორმას, ანაქორეტობას, და ამდენად, სერაპისის კულტის ამსახველი ლეგენდის გარდაქმნა ქრისტიანულ აგიოგრაფიულ თხზულებად თანმიმდევრულ მოვლენადაა ჩათვლილი.<sup>4</sup>

-----

1 Baumstark A., Geschichte ... S.192; Ortiz de Urbina, Patrologia Syriaca, Romae, 1965, p.201-202.

2 Giron N., Legendes Coptes, Paris, 1907.

3 Lemm O., Melanges Asiatiques Tires du Bulletin de L'Academie Imperiale, St.PeterbOurg, T.IX, p.595-597.

4 Grüzmacher G. Pachomius und das älteste Klosterleben, Leipzig, 1894; Weingarten, Der Ursprung des Mönchtum in Constantinische Zeitalter, Gotha, 1877, S.26.



„ილარიას ცხოვრების“ კობტური, სირიული, არაბული, კართუნული და ეთიოპური ვერსიები სპეციალურად შეისწავლა, ხელოვნურად შეკრებილი სტები ინგლისური თარგმანებითურთ გამოსცა ვენსინკმა<sup>5</sup> და ტექსტებს წინ წაუმიძღვარა ძველევგვიპტური ბენ-არეშის ლეგენდის ინგლისური თარგმანი<sup>6</sup>.

ვენსინკს ილარიას ცხოვრების ვერსიათა შორის კობტური მიაჩნია ძველევგვიპტური ლეგენდის თავდაპირველ ქრისტიანულ ვარიანტად, რადგან მასში ყველაზე კარგადაა დაცული ძველევგვიპტური ლეგენდის ელემენტები<sup>7</sup>, მაგრამ საბოლოოდ გაფორმებულ აგიოგრაფიულ თხზულებად სწორედ სირიული ვერსია ჩანს. სირიული ვერსიის კვლევისას ვენსინკს პარალელები მოაქვს ლეგენდარული პროზის სხვა ნიმუშთაგან, და ამ დროს იკვთება განსაკუთრებული მსგავსება ილარიასა და ნისიმეს ცხოვრებებს შორის; ჩვენ აქ მოგვცქვს ეს პარალელები:

1. ილარია და ნისიმე სამეფო ოჯახიდან არიან.
2. ორივენი ბავშვობიდან იჩენენ განსაკუთრებულ სწრაფვას საღმრთო წიგნების კითხვისადმი.
3. ორივე ტოვებს მამის სასახლეს და მონაზვნად მიდის ეგვიპტის მონასტერში.
4. როცა გამუდმდებიან მათი ვინაობა და დაიწყება მათი პატრივისცემა მონაზონთაგან, ორივე, შიშით, რომ არ დაიღუპოს მათი ღვაწლი ღვთის წინაშე, იპარება მონასტრიდან და მიდის უდაბნოში<sup>8</sup>.

ყოველივე ზემოთქმულის გარდა უნდა აღინიშნოს, რომ ეგვიპტურმა მონაზვნობამ თავისი განვითარების მანძილზე სამი ეტაპი განვლო:


I. ანაქორეტული (ქრისტესადმი ფანატკური სიყვარულით გატაცებული ადამიანები ტოვებენ ადამიანთა საზოგადოებას და მიდიან უდაბნოში, სადაც ცხოველებთან ერთად ცხოვრობენ).

5 Wensink A., The legends of Eastern saints, v.II, Leiden, 1913.

6 იქვე, p.1-7.

7 იქვე, p.XI-XXXII.

8 იქვე, p.XXXII.



2. ნახევრად კინოვიტური (ისინი იკრიბებიან მხოლოდ რომელიმე დღესასწაულზე და ერთად ასრულებენ ღვთისმსახურებას. ამ წესის მამამთავრად ანტონი დიდი ითვლება).

3. კინოვიტური (მონასტრებში ცხოვრობენ იმ წესების მიხედვით, რომელიც სამონასტრო ცხოვრების მამამთავარს წმინდა პახომს ეუწყა წმინდა სულისაგან და რომელიც მან დააწესა მის მიერ დაარსებულ მონასტრებში).

„ნისიმეს ცხოვრებაში“ ეგვიპტური მონაზვნობის სამივე ძირითადი ფორმაა მოცემული: წმინდა ნისიმე მამის სახლიდან ჯერ მადის უდაბნოში, სადაც ეწევა ანაქორეტულ ცხოვრებას, შემდეგ ტაბენესელთა მონასტერში, ხოლო ბოლოს მას ვხედავთ ისევ უდაბნოში მძოვართა წინამძღვრად, რომელიც ცხოვრობენ ანტონი დიდის წესების მიხედვით.

სირიული ვერსიის მიხედვით ნისიმე მონასტერში წასვლის წინ დებს ღუმილის აღთქმას. მოღვაწეობის ეს სახე პირველად ეგვიპტეში დასტურდება და შემდეგ პოულობს გავრცელებას სირიულ მონაზვნობაში<sup>10</sup>. ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით თითქოს ყველა საფუძველი არსებობს ვივარაუდოთ ძველის კომპლური წარმომავლობა, მაგრამ ჯერჯერობით არც ერთი ფრაგმენტი ამ თხზულებისა კომპლურ ენაზე მიკვლეული არ არის. ამდენად ჩვენთვის მისაღები ჩანს ბაუმშტარკის თვალსაზრისი, რომელიც ნისიმეს ცხოვრებას ორიგინალურ სირიულ თხზულებად თვლის, რომელიც ისლამამდეა შექმნილი სირიაში არსებულ ეგვიპტურ სამონასტრო წრეებში<sup>11</sup>.

ჩვენი აზრით, ეფრემ ასურისათვის წყაროდ შეიძლება სწორედ ძველეგვიპტური ლეგენდის კომპლური ვარიანტი ვივარაუდოთ; შემდეგ ეგვიპტური სამონაზვნო წესებისა და ფორმების მიხედვით უნდა შექმნილიყო თხზულების პირველი და მეორე ნაწილი სირიულ ენაზე. რაც შეეხება III ნაწილს, იგი უფრო გვიანაა შექმნილი. ეს თხზულების ტექსტიდანაც ჩანს: სირიული და კარშენული ვერსიების მიხედვით, როცა მძოვართა მოურვე ბერი აუწყებს აღექსანდრიელ ბერს ნისიმეს შესახებ, რომ მძოვართა ეს წინამძღვარი არის მეფის ასული ნისიმე, რომელმაც დატოვა მეფის სასახლე, წავიდა ჯერ უდაბნოში

9 Meinardus O., Monks and Monasteries of Egyptian desert, Coire 1951, p. 2-20; Farag Hifail Farag, Sociological and moral studies in the field of coptic monasticism, Leiden, 1964.

10 Иеромонах Анатолий, Исторический очерк сирийского монашества, Киев, 1900, 149.

11 Baumstark, A., Geschichte... S. 192.

და შემდეგ ტაბენესელთა მონასტერში, იქვე დასძენს: როგორც ეს მოთხრობილია მის ცხოვრებაში. თხზულების მესამე ნაწილში ნაწილი წარმოშობის დამადასტურებლად კ.კეკელიძეს მოაწოდებენ ნაწილის ბოლო: „სად წავიდა და სად განისვენა, იცის მხოლოდ დემეტრე და არაგინ კაცთაგანმაო“. ასე მთავრდება ევრემ ასურისა და პალადი ელენოპოღლის მოთხრობაც. როგორც კ.კეკელიძე აღნიშნავს, მათთვის რომ ცნობილი ყოფილიყო თხზულების მესამე ნაწილი, ასე არ დაამთავრებდნენ მოთხრობას<sup>12</sup>. გარდა ამისა, როგორც შესავალში აღვნიშნეთ, ხელნაწერებში მესამე ნაწილი ხშირად ცალკე თხზულებად არის გამოყოფილი, ეს ხდება იმ შემთხვევაშიც, როცა I, II და III ნაწილები ერთ ხელნაწერში თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი<sup>13</sup>.

ბერძნულ და ლათინურ სვინქსარებში წმინდანის ხსენების დღე არ ჩანს<sup>14</sup>. ქართული ხელნაწერების მიხედვით, ხშირად „ნისიმეს ცხოვრების“ ტექსტი საგალობელ-საკითხავებში (თთუენი) არის წარმოდგენილი, სადაც ყველა წმინდანის ხსენების დღეა მითითებული, გარდა ნისიმესი<sup>15</sup>. კ.კეკელიძეს „ნისიმეს ცხოვრების“ ქართული ტექსტის სათაურთან მისი ხსენების დღეა მითითებული აქვს IO მაისი<sup>16</sup>. ეს არის ისიდორა ტაბენესელის ხსენების დღე, როგორც იწოდება „ლავსაიკონში“ ჩვენი თხზულების გამოირ<sup>17</sup>.

ქართულ სვინაქსართაგან მხოლოდ იოანე ზოსიმეს კალენდარში ვპოულობთ ნისიმეს ხსენებას<sup>18</sup>, მაგრამ არა IO მაისს, არამედ I4 თებერვალს. ამ კალენდარში, როგორც ცნობილია, ასახულია როგორც ბიზანტიური, ისე აღმოსავლური ეკლესიის ტრადიციები<sup>19</sup>. სწორედ ამ უკანასკნელით აიხსნება წმინდა ნისიმეს ხსენების არსებობა იოანე ზოსიმეს კალენდარში.

12 კეკელიძე კ., ეტიუდები, ტ. VII, გვ. 83

13 Handschriften beschrieben von J. Assfalg, Wiesbaden, 1963.

14 Smith Lewis, A., St. Sin. IX, 1900, p. IX


15 კეკელიძე კ., ეტი. VII, გვ. 84.

16 იქვე, გვ. 84.

17 იქვე, გვ. 81.

18 ჯავახიშვილი ი., სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1947.

19 კეკელიძე კ., ეტიუდები... ტ. V, 1957, გვ. 242-252.



არაბული სინური ვერსია თარგმნილია სირიულიდან, საფიქრებელია საბაწმინდის ლავრაში მოღვაწე ბერების მიერ. ამას უპირველეს ყოვლისა, გვაფიქრებინებს „ნისიმეს ცხოვრების“ უძველესი არაბული წესხა sin 542, რომელიც სწორედ საბაწმინდური წარმოშობისა არის<sup>20</sup>.

საბაწმინდის ლავრასთან უნდა იყოს დაკავშირებული ქართული თარგმანის წარმოშობაც. ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ქართული ვერსიის შემცველი ყველაზე ადრინდელი ხელნაწერი A -249. უტიესა<sup>21</sup> და ესბროკის<sup>22</sup> უკანასკნელი გამოკვლევებით ეს ხელნაწერი წარმოადგენს პალესტინური ტრადიციების მიხედვით შედგენილ მრავალთავს, რომელიც შეიცავს ძირითადად სირიულიდან არაბულის გზით თარგმნილ თხზულებებს: იოსებ არიმთაიელის ცხოვრებას<sup>23</sup>, ეფრემ ასურის ცხოვრებას<sup>24</sup>, ეფრემ ასურის რამოდენიმე თხზულებას<sup>25</sup> და სხვა. ამავე თვალსაზრისს ადასტურებს ხელნაწერში მოთავსებული თხზულების, „სტეფანესა და ნიკონის ცხოვრების“ ანდერძი: „ითარგმნა ცხოვრებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა საბას ლავრასა“.

ე.ი. „ნისიმეს ცხოვრებაც“ იმ თხზულებათა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც სირიულიდან არაბულის გზით ქართულად ითარგმნა საბაწმინდის ქართველ მოღვაწეთა მიერ.

20 Atiya A. S., The arabic manuscripts...p.22.

21 Outtier B., Le manuscrit Tbilisi A249, Bedi Kartlisa, vol. XXXV, pp. 97-108.

22 Esbroek M. L'histoire de l'eglise de Iydda dans deux, textes georgiens, Bedi Kartlisa, vol. XXXV, pp. 109-131.

23 Mapp H., Т. и Р. I, СПб, 1900

24 Outtier B. Le manuscrit ... pp97-108.

25 იქვე.

ქალი ერთი იყო ეგვიპტეში, სახელად ერქვა ანისიმა. მას სამ-  
ფლობელოდ ჰქონდა თხუთმეტი ქალაქი თავისი სანახებიითა და შე-  
მოგარენით, მიღებული მემკვიდრეობით მშობლებისაგან, რომლებიც  
იმ ქვეყნის მეფენი იყვნენ და ჰყავდათ მათ ეს ერთადერთი ქა-  
ლი. დაადგეს მას გვირგვინი თავიანთ სიციხეებში, რადგან  
თქვეს: არ შეწყდეს ჩვენს შემდეგ სამეფო გვარი და ვინც მოვა  
და იქორწინებს მასზე, იყოს მეფედ ჩვენს შემდეგ.

მათი სასახლის მთელი იატაკი მარმარილოს ფილებით იყო მო-  
პირკეთებული და გამოქანდაკებული იყო მასზე ცხვრები და ხარე-  
ბი. მათი სასახლის მთელი კედლები დაფარული იყო მარადმწვანე  
ხის საფარველით, სპილოს ძვლის ფირფიტებითა და სპილენძის  
ნაჭრებით და ამოტვიფრული იყო ფინიკები და ჩუქურთმები და ორ-  
ნამენტები.

ხოლო ახალგაზრდა ქალი, მდაბალი და სათნო, მუდამ კითხუ-  
ლობდა წიგნებს სამი საათიდან ვიდრე ცხრა საათამდე მთელი მისი  
სიციხეების განმავლობაში. იგი, მრავალი სათნოებით შემკული,  
უკეთესი იყო თავისი დროის ყველა ქალზე.

ერთ დღეს, როცა იგი იჯდა და კითხულობდა წიგნს, მოუვიდა  
აზრი ღვთის თაყვანისცემის აუცილებლობისა, ამოიხარა, ატირდა  
და თქვა: ეგების ინებოს ღმერთმა და ერთად გარდაიცვალოს ჩემი  
ორივე მშობელი, მაშინ არ ვახსენებ ქმრის სახელს და არ დაე-  
რჩები საცხოვრებლად ამ წარმავალ ქვეყანაში.

მცირე ხნის შემდეგ დაგარდნენ მისი მშობლები, ორივე ერ-  
თად დასწულდა და ორივე ერთ დღეს გარდაიცვალა. ნეტარმა ქალ-  
მა ანისიმამ გააცილა ისინი და იყო შემოსილი თეთრად.

მათი დამარხვის შემდეგ გაემართა იგი ეკლესიისაკენ, თავზე  
კი ეღვა გვირგვინი. ილცა და სიხარულით წამოვიდა სახლში.

კიცხავდა მას ხალხი და ამბობდა: არ შეშფოოდა მას, ქალწულს,  
მეფის ასულს, რომ გამოეჩინა თავისი სიღამაზე. ხოლო ნეტარმა  
არ მიატვია მათ ყურადღება.

I სირიული ვრცელი რედაქციის თარგმანი.




მრავალი დღის შემდეგ, როცა იგი იჯდა და კითხულობდა წმინდა სახარებას, მიაღწია ადგილს, სადაც უთხრა უფალმა ტაბუკს წადი, გაყიდე შენი ქონება და მიეცი გლახაკებს, აიღე ყველა მომყვები მე და გექნება შენ საუნჯე ზეცაში. მაშინ ნეტარმა ამოიხარა, ატირდა და თქვა: ვაიმე, რომ ბავშვობიდან ვფიქრობდი საღმრთო წიგნებზე და ერთი კარგი საქმე ღვთის ან ადამიანთა წინაშე არ გამიკეთებია. გააზარა და მოაყვანიდა სწავლულნი და მეცნიერნი და უანდერძა ყველაფერი, რაც მქონდა, ობლებსა და ქვრივებს, ეკლესიებსა და თავშესაფრებს და ბრძანა ავრეთვე, რომ იყოს მისი სასახლე თავშესაფარი ვაჭირებულთათვის. გაათავისუფლა მონები და მხევლები, გავიდა და დადგა თავისი სასახლის კარებთან, განიძარცვა პერანგი და სამოსელი სხეულისაგან, ოქროს ქამარი - წელისაგან, სამეფო გვირგვინი - თავისაგან, დაჰყარა ესენი თავისი სასახლის კარიბჭის შიგნით და თქვა: განვიშორებ ჩემგან სიმდიდრეს და ამ საწუთროს, ოქროსა და ცოდვებს და მხარის დამჭერად ჩემთან იყოს მხოლოდ მესია. გამოვიდა თავისი სასახლიდან და არაფერი წაუღია მამის საუნჯიდან სახარების გარდა, რომელიც ეფო შიშველ მკერდზედ.

მიაღწია ერთ სანაგვეს, ამოიღო ძველი ძონძები, დაწნა მათგან გვირგვინი, დაიღო თავზე<sup>I</sup> და თქვა ნეტარმა გულში: არ შემფერის მე დარჩენა იმ ადგილს, სადაც მიცნობენ; მნახავენ ადამიანები და იტყვიან: ამან გაათავისუფლა მონები და მხევლები, გასცა საბოძვარი და წყალობა და დამიწყებენ ქებას. რაც გამიცვლის ქრისტეს სიყვარულს ამ წარმავალი ქვეყნის სიყვარულში. არამედ გავეცლები და წავალ მე უცხო ქვეყნად, სადაც რომ კიდევაც თქვას ვინმემ, რომ მქონდა რაიმე, არავინ დაიჯერებს. თავს მოვარჩენებ ღვთის გლახად და ვერ მომწვედება პატრივ კაცთაგან. ვინც მნახავს, დამცინებს, გამიკიცხავს, დამარბევს და მცემს, არც ხალხსა და არც უღაბნოში არ ვილაპარაკებ, არამედ ვიკითხავ წიგნს და ვემსახურები ღმერთს.

-----

I დაწნა მათგან გვირგვინი და დაიღო თავზე]და დაიფარა სხეულის ნაწილი, რომ არ ყოფილიყო შიშველი.



ასე წავიდა ნეტარი უდაბნოში, გაიარა ორმოცი დღის საგვლი და როგორც კი მიეწია მას მზე, მთელი მისი სილამაზე დაჰყარა როგორც ყვავილი, რომელსაც მოუსწრო სიციხემ. დადიოდა იგი უდაბნოში, სდიოდა და იღვრებოდა სისხლი იარებიდან, რომლებიც ფეხებზე შქონდა, რადგან მწირ უდაბნოში დადიოდა, ჯდებოდა და კითხულობდა წიგნს. და გროვებოდა მის გარშემო უდაბნოს ცხოველები და ფრინველები, სხდებოდნენ ნეტარის ფეხებთან და უსმენდნენ მის ხმას; იგი კითხულობდა ექვსი საათიდან ცხრა საათამდე, როცა ცხრა საათზე აიღებდა შესანახად წიგნს, მიდიოდნენ ცხოველები მისგან და მიემართებოდნენ ჯოგებად საძოვრებისაკენ, მაგრამ როგორც კი განშორდებოდნენ მისგან ცხრა ნაბიჯით, პოულობდნენ საზრდოს, რომელიც იყო მომზადებული დღით-საგან ცხოველთა ყველა ჯიშისათვის იმგვარი, როგორც შეეფერებოდა მათ საჭმელად.

ასე იყრიდნენ თავს მის მახლობლად ყოველ დღე ამ მკითხველთან, მშვიდთან და სათნოსთან. ორმოცი წლის განმავლობაში იკრიბებოდნენ ცხოველები უდაბნოში, მის მახლობლად ისხდნენ მუდამ, არ შორდებოდნენ მას. ნეტარის საკვები იყო ფინიკის ნაყოფი, სვამდა დამღვარ წყალს, იქამდე, რომ შავი ფერის გახდა მისი სახე.

ორმოცი წლის შემდეგ, რაც ის იყო უდაბნოში, თქვა თავის გულში: ვაიმე, როგორ ვარ აქ განმარტოებული მშვიდად, ვცამ ფინიკის ნაყოფს, ვსვამ წყაროს წყალს და ვგავარ ველურ ვირს, რომელიც თელავს ბალახს და არ არის ხმა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს, არ არის ძალა, რომელიც წარუძღვება მას. ამგვარად ვარ მეც: არ არის ადამიანი, რომელიც უსიამოვნებას შემამთხვევს და შეურაცხყოფს არ არის არავინ, ვინც დამცინებს, რათა განვედიდო ამით და მიქნდეს საზღაური. თუ არ იქნება კაცი, რომელიც დამორგუნავს, რა სამაგიერო მექნება დღითს მიერ. საჭიროა, რომ წავიდე სხვა ქვეყანაში და ვიციხოვრო ქალთა მონასტერში, ვიზრუნო ჩემი თავისა და ამხანაგებისათვის, დავბანო ფეხები დებს და მოვასვენო დალილნი და დამაშვირალნი; შეზიზღებულ ვიქმნე და არადრავდებული დებისაგან. დავბანო ფეხები უცხოთ. მოვითმითო მონასტრის წინამძღვრისაგან და აბურჩადაგებული ვიყო იმათგანაც, ვინც უმცროსია ჩემ-

ზე, ავტიანო უპატრობა ქრისტეს სიყვარულისთვის. და მექნება მე სამაგიერო ღვთისგან. ვიმარხულებ, არ ეცოდინებათ და იტყვიან: ღორმუცელა იგი; თავს შევიკავებ ღვინისგან და იტყვიან: რომ ჩუმად ვსვამ; ვემსახურები და ჩამთვლიან უქნარად; ვიფხიზლებ და მიწოდებენ მძინარას; თუ არ ავტიან ყოველივე ამას, არ მექნება მე წარმატება და, თუ ტყვიღს არ მოვიტმენ და შერცხვენას არ გავუძლებ, არ მექნება მე სამაგიერო ღვთისგან.

ამგვარად ფიქრობდა და ზრუნავდა ნეტარი ნისიმა. გამოვიდა უდაბნოდან და წავიდა დათა მონასტერში, რომელსაც ერქვა დერ საღრე<sup>1</sup> (მონასტერი მწკრივთა), რომელშიც იყვნენ და ცხოვრობდნენ დები, რიცხვით სამასნი. დააკაცუნა მონასტრის კარზე და გამოვიდა და პასუხი გასცა მას ერთმა დედაბერმა, რომელიც იდგა მონასტრის კარებთან ასოცი წლის განმავლობაში, ისე რომ სიცოცხლის ხანგრძლივობისა წელთა სიმრავლისაგან<sup>2</sup> ჩაერგო თავი მუხლებში. უპასუხა მას დედაბერმა და უთხრა: მიიხარ, ჩემო შვილო, რა გსურს<sup>3</sup>. შეეღა ხომ არ გინდა, ან იქნებ ტყვილი რაჟმე გაქვს და მოგემსახურები, ან განუგეშებ. ღუმდა ნეტარი შვიდი დღის განმავლობაში (თავი მოისულელა) და არ მისცა მას პასუხი. დედაბერმა თქვა: ეს ქალი გიყვია, ეს ჩანს იქედან, რომ სახემშევენიერია; ესე იგი, ის ვნებუღია ეშმაკისაგან მტრობით. ვეცდები, რომ შევიწყალო ღვთისათვის; შევიყვან და დავაბამ სახლის კარიბჭის ერთ სენაკში, რომ არ ჩამოვიდეს სატანა რომელიმე მთიდან და არ დაამარცხოს იგი<sup>4</sup> (დაიმორჩილოს იგი). დაადო მას სამმაგი ჯაჭვი (ბორკილი) და უთხრა: ერთადერთის სახელით<sup>5</sup>, რომელიც ამადლდა ძელზე, დაგადე შენ სამი ჯაჭვი, შეინანე ერთადერთის წინაშე და შეგეწივა იგი. დაატყვევა და დატოვა იგი დედაბერმა ამ სენაკში, წავიდა და უთხრა მონასტრის

I მონასტერი ტაბენესელთა.

2 სიცოცხლის ხანგრძლივობისა და წელთა სიმრავლისაგან<sup>11</sup> სიცოცხლის წელთა სიძველისაგან.

3 რა არის, რასაც ელოდები.


4 დაამარცხოს იგი<sup>11</sup> დაიმორჩილოს იგი.

5 ერთადერთის<sup>11</sup> იესო ქრისტეს



წინამძღვარს: დედოფალს, ერთ ქალს დაუფლებია სატანა, ადამი-  
ანის მტერი, კარებთან ჩაიარა, მიეუსწარი და შენე-  
ლით გამოეცა ცე ხელიდან. თუ მიბრძანებ, შემოვიყვანე შენთან  
მონასტრის წინამძღვარმა უხრბა: კარგი, შვილო, შემოიყვანე და  
დავბანოთ მას ფეხები. ასეთია ღვთის ნება, რომ მოვასვენოთ  
დადლილი და დამაშვრალი და მძიმე ტყვილითა და ტვირთით შე-  
წუხებულნი. კეთილი საქმეა უცხოთა ფეხის დაბანა: მათი მტერი  
იქნება ჩვენი ცოდვების შერბილება. წავიდნენ დები მის მოსაყ-  
ვანად. მან კი თავი მოისულელა, არ უნდოდა, რომ წაჰყოლოდა მათ.  
ძალით მოათრევდნენ. უნდოდათ, რომ გამოერთმიათ მისთვის სახა-  
რება და ვერ შეძლეს, რომ წაერთმიათ ხელიდან. არ მისცა მათ,  
არამედ მოისულელა თავი, ვითმდა არ იცოდა, რას ეუბნებოდნენ.  
მაშინ უხრბეს ერთმანეთს: რა არის ეს წიგნი, რომელსაც ატარებს  
და არ სურს, რომ მოგვეცეს. როცა მოიყვანეს, ეცადნენ, რომ და-  
ებანათ მისთვის ფეხი და არ მიიკარა ისინი, თითქოს ისევ გიჟი  
იყო, ცდილობდა შეხებოდა მათ ტანსაცმელს<sup>1</sup>. ეკითხებოდნენ მას  
და არ აძლევდა პასუხს. როცა ნახეს ამ მდგომარეობაში, უხრბეს  
მონასტრის წინამძღვარს: დედოფალს! ღვთის გლახა იგი და დაე-  
ტოვოთ სატრაპეზოში. მონასტრის წინამძღვარმა უხრბა მათ: რა  
თქმა უნდა, ჩემო შვილებო, დაგტოვოთ იქ და იყავით ფრთხილად,  
რომ არ ჩამოვიდეს ეშმაკი და ცეცხლით არ დათრგუნოს იგი. ასე  
მოათავსეს იგი სატრაპეზოში. იქ ეძინა და ღებოდა, იქ შედი-  
ოდა და გადიოდა, ასევე აღაგებდა სატრაპეზოს და ყველას ნაც-  
ვლად მსახურობდა. ზოგ დღეს, როგორც ვინმე, რომელსაც მოსცილ-  
და სატანა, ზედდა ცოცხს და აცხობდა პურს დებისათვის; დრო და  
დრო კი, როგორც ის, რომელიც წააქეზა ეშმაკმა, თელავდა ფეხე-  
ბით ცოცხს, თითქოს დაეცა მას სატანა. იკვებებოდა ყოველდღე  
დებისაგან და მისი გული მხიარული იყო. ზოგჯერ აიღებდა და  
მიჰქონდა წყლის კოკა, გადიოდა და ასმევდა გზაზე უცხო მოგზა-  
ურთ. სხვა დროს ამტვრევდა კოკას მონასტრის ეზოს შუაში, რო-  
გორც ის, რომელთანაც არის სატანა. სამჯერ წელიწადში, ღვთის-

I ცდილობდა, შეხებოდა მათ ტანსაცმელს და მან მოჰგლიჯა მათ თავსაბურავები თავიდან.



თვის გონების დაკარგვის გამო, რცხდა თავის ხელით იმ ადგილს, სადაც მიდიოდნენ დები მოსაშარდად. როცა შედიოდა, სცემდნენ და როცა გადიოდა, სცემდნენ. ამ დროს ნეტარი თავს აჩვენებდა, როგორც ცნობამიღებული, რომელთანაც არის ეშმაკი. ამიტომაც შეზიზღებული იყო იგი ყველასაგან იქამდე, რომ შეურაცხყოფდნენ მას სადილობისას, რომელიც მის მიერ იყო მომზადებული. ასე სწირავდა იგი მსხვერპლს ქრისტეს, მშვიდად, სიამოვნებით იმყოფებოდა სატრაპეზოში, მუშაობდა მონასტერში ყველას ნაცვლად ისე, რომ იყო როგორც მონასტრის ცოცხი და ღრუბელი და იმეორებდა სახარების სიტყვებს: ვისაც სურს, შექონდეს სიბრძნე უფლისა, იყოს იგი სულელი ღვთის წინაშე. ნეტარს თავზე ეხურა ძონძები მაშინ, როცა ყველა დას, იმასაც, ვინც მოსამსახურე იყო და მასაც, ვინც მონაზონი იყო, კუნკულები ეხურა. იყვნენ ისინი რიცხვით სამასნი და მათგან არც ერთს ენახა ნეტარი ანისიმა, რომ ჭამდა, ან გემოს უსინჯავდა რაიმეს, არც სუფრასთან ჯდებოდა მათთან მის სიციცხლეში, არც პურის ნატეხს ჭამდა, მხოლოდ ნამცეცები, როცა წმენდდნენ მაგიდან, და ქონის ნარეცხი იყო მისი საკვები. საყვედურს არ ამბობდა და არ კიცხავდა არავის და არ წარმოსთქვამდა სიტყვას არავისთან. და ასე მუდამდე უგულვებელყოფილი და შეზიზღებული და გაძევებული იყო. ორმოცი წლის შემდეგ, რაც იყო უდაბნოში, ორმოცი წელი იყო მონასტრის სატრაპეზოში, სულ ოთხმოცი წელი.

როცა ნახა ღმერთმა მისი ღვაწლი, ტვირთი და მოთმინება, გონიერება, ლოცვა და სიმდაბლე, არ ისურვა მისი უგულვებელყოფა, არამედ გამელაგნება და გაცხადება ყველასთვის მისი ღვთიური სიკეთისა ასე: ღუბინას, მონაზონთა წინამძღვარს, რომელიც გამოკეტილი იყო უდაბნოში სენაკში, კაცს წმიდასა და რჩეულს, როცა იჯდა თავის სამყოფოში, ეჩვენა ღვთის ანგელოზი და უთხრა მას: ღუბინა! სიკეთედ იქცა შენი ღვაწლი ანგელოზთა წინაშე, ხარობენ ანგელოზნი შენი სიფხიზლით. ახლა გამოდი შენი სენაკიდან, წადი და იკურთხე ქალისაგან, რომელიც გამოკეტილია დრსედრეს სატრაპეზოში და ორჯერ მეტი იქნება შენი სამსახური ღვთის ნებითა და ქრისტესთვის საზღაურით. გამოვიდა ნეტარი სენაკიდან, წავიდა დათა მონასტერში ანგელოზის ბრძანებისა-

მებრ და თხოვნით მიმართა ეპისკოპოსსა და ზედამხედველს, რომ  
ნება დაერთოთ, შესულიყო მონასტერში, რამეთუ არასოდეს შესულ-  
ლა იქ კაცი. რადგან მამა იყო მონაზონთა და მათთვის დღევანდელ  
ცნობილი მოწესე მისი კეთილი ცხოვრებით, ვერ შეძლეს ეპისკო-  
პოსმა და მეურვემ, რომ დაებრკოლებინათ იგი და მონასტერში  
არ შეეშვათ. როცა შედიოდა ნეტარი ღვთისმეტყველის მონასტრის კარებ-  
ში, უთხრა მას ანგელოზმა: შეხვალ და აი, ყველა და, რომელთაც  
ჰხურავს კუნკულები, მას კი, რომელზეც გითხარი, აქვს ძველი  
ძონძების გვირგვინი თავზე და შიშველია მთლიანად. მიუახლოვ-  
დი და იკურთხე მისგან. ძმები, რომლებმაც ნება მისცეს შესე-  
ლისა, წავიდნენ და მივიდნენ მასზე ადრე და უთხრეს მათ:  
ესაა მონაზონთა მამა ღვთისმეტყველი, მოვიდა თქვენთან, რათა იკურთ-  
ხოს თქვენგან. როცა გაიგონეს დემა, შეშფოთდნენ ყველანი და  
ტირილით თქვეს: ვაი, ჩვენი ცოდვები გამოცხადდება ღვთის წი-  
ნაშე და მოვიდა მისი მსახური, რათა დაგვწყვიტოს ჩვენ და  
მოგვეღიოს ღვთის სამართლიანი განაჩენი. როცა მივიდა ნეტარი  
ღვთისმეტყველი მათთან და შევიდა, შეხვდნენ დები მას გალობითა და  
ფსალმუნებით. ხოლო ის და არ მოვიდა მასთან შესახვედრად, რად-  
გან თქვა გულში: თავს ვაჩვენებ სულელად, დავრჩები სატრაპე-  
ზოში და ჩუმად ვიქნები. და თუ არ დავრჩები და მნახავს, გამ-  
ჟღავნდება ჩემი საქმე ღვთის მიერ: ვინ ვარ მე და ვისი ასუ-  
ლი ვარ. გაიგებენ დები, პატივს მცემენ და დამეღუპება შრომა,  
რაც ვიდგაწე ღვთისათვის. დები მიუახლოვდნენ მას (ღვთისმეტყვე-  
ლის), მიესალმნენ, იკურთხეს მისგან და, როცა იგი ადგა და მიმოიხე-  
და, და, რომელზეც უთხრა ანგელოზმა, ვერ დაინახა, ჰკითხა მონ-  
ასტრის წინამძღვარს: ერთი და ვაკლიათ თქვენ და მსურს, რომ  
ენახო იგი და ვიკურთხო მისგან. უპასუხა მონასტრის წინამძღ-  
ვარმა: არავინ არის, უფალო, გარდა ერთი ქალისა, რომელიც არ  
გამოდის სატრაპეზოდან, რადგან ღვთის გლახაა იგი. უთხრა ნე-  
ტარმა: გაგზავნე მოსაყვანად. წავიდნენ დები, რომ მოეყვანათ  
იგი და მან არ ისურვა, რომ გამოსულიყო. მიათრევდნენ, ურტყამ-  
დნენ სახეში და აყრიდნენ ნაცარს თვალებში, სცემდნენ სატრაპე-  
ზოს რკინის ჯოხით და ეუბნებოდნენ: დატოვე, გამოდი, ბოროტო  
ეშმაკო! აი შენი სატანა, ცნობს ღვთის მსახურს, რომელიც გა-  
რეთ ღვას და გიშლის, რომ არ გახვიდე და იკურთხო მისგან,

რომ იგი გაგეცალოს შენ. მოათრიეს და შეიყვანეს და ნახა რა  
იგი ნეტარმა, სასწრაფოდ დაგარდა და თაყვანი სცა მას, მორიგე  
და კუნკული თავიდან და უთხრა: მაკურთხე მე, დედაო! ესეც და-  
გარდა მის ფეხებთან და უთხრა: უფალო, შენ მაკურთხე მე. მაშინ  
უთხრეს ღებმა: აღდექ, უფალო, სულელია იგი. ხოლო მან უთხრა  
მათ: თქვენ ხართ სულელნი, ეს კი დედა ჩემი და თქვენი და  
მარილია იგი სასურველი და საქები. შურით შეგაცდინათ თქვენ  
სატანამ. და როცა ეს თქვა, შეინანეს გულწრფელი ტირილით, მო-  
იხსნეს სამასი კუნკული თავიდან, გაშალეს ისინი მის წინაშე  
და უთხრეს მას: უფალო, სთხოვე მას, ამ წმიდა მხევალს, რომ  
გაიაროს მოსასხამებზე, რადგან არ არის ჩვენ შორის ერთიც, რომ  
არ შეეცოდოს მის წინაშე. აღიარა თვითეულმა მათგანმა, რასაც  
უშავებდნენ. ერთი ამბობდა: მე ვურტამდი, ზოგი ამბობდა: მე  
შეურაცხვეყოფდი, სხვა ამბობდა: გავრეცხდი ჯამსა და საჭმლის  
ჭურჭელს და ვასხამდი თავზე თოვლიან და ყინვიან დღეში. აღიარ-  
ეს და თაყვანი სცეს და დაეცენ წმიდანის ფეხებთან, სცემდნენ  
მიწას თავს და ამბობდნენ: შეგვიწყალე ჩვენ, ქრისტეს დედაო,  
და სთხოვე ჩვენ ნაცვლად ქოჩილის უფალს, რომ არ დაგეტოვოს  
ჩვენ კარებს გარეთ წყვდიაღში. ტიროდნენ მის წინაშე. და გახ-  
და მონასტრის ეზო, როგორც მათი თვალებიდან გაღმონადენი ცრემ-  
ლებით მორწყული მიწდორი. ნეტარი ღუმდა კარეგნულად და ბრწყინ-  
ნავდა შინაგანად, თითქოს არ ესმოდა, რას ეუბნებოდნენ, სანამ  
არ მოისმინა ხმა ზეციდან, რომელმაც უთხრა: მიიღე და მივიღებ  
თქვენი სინანულის ცრემლებს. და როცა ისმინა ეს ხმა ნეტარმა,  
მობრუნდა და ქმნა, რაც თხოვა ნეტარმა ღუბინამ: გამოსახა სიგ-  
რძით და სიგანით ჯვარი, თქვა ღუბინამ: ღმერთმა განსაჯოს  
თქვენი კრებულის ცოდვა. უხსნიდა მათ სამი საათიდან ცხრა სა-  
ათამდე მათი ცხოვრების საზღაურის შესახებ. ადგა და დატოვა  
ისინი. მიაცილეს იგი მონასტრის კარებამდე და, როცა მიაღწია  
კარებს, უთხრეს მას: უფალო, აი ასოცი წელია აშენებულია ეს  
მონასტერი და არაა ვინმე, რომელსაც ეხილოს ეს კარები მის  
შემდეგ, რაც შემოვიდა აქ, გარდა ამ დედაბერისა, რომელიც იც-  
ავს მას ასოცი წელია. ამ კარებიდან მივიღეთ შენ და ამ კარ-  
ებიდან გაცილებთ. იარე მშვიდობით შენი სამყოფელისკენ და ილოცე  
ჩვენთვის შენს მონასტერში შენი უფლის წინაშე.

დალოცა ისინი, დატოვა და წავიდა თავის სამყოფ სენაკში  
უდაბნოს კლდეში.

მაშინ შეიკრიბნენ ყველანი, მობრუნდნენ და წაიყვანეს  
წმინდა ანისიმა ხელში აყვანილი მონასტრის გარე ეზოდან სა-  
ლოცავ სახლამდე, სადაც ეწეოდნენ ღვთის მსახურებას. ადიდებ-  
დნენ და აქებდნენ მას, როგორც სათაყვანოსა და ნეტარს.

იყო მონასტერში ათი ღღის განმავლობაში და არ ტოვებდნენ  
მას, კრეფდნენ მისი ფეხის მტვერს მალამოსათვის და იცხებდ-  
ნენ მას სხეულზე. დარდობდა გულში, რომ პატივსაცემდნენ მას  
და ათი ღღის შემდეგ, როცა ნახა გამრავლება პატივისცემისა  
და, როცა შეამჩნია, რომ არ იყო კარების მცველი, გავიდა და  
გაიპარა. საით წავიდა და სად განისვენა არავინ იცის ადამი-  
ანთაგანმა.

არაბული სინური რედაქცია ( S )  
და მისი ქართული თარგმანი

ტ ე ქ ს ტ ი ს ა თ ე ი ს

სინური რედაქცია ( S ) წარმოდგენილია sin 542 ხელნაწერის ტექსტით. ტექსტის გამოცემის დროს უცვლელად დაცემულა ის თავისებურება, რაც დამახასიათებელია ამ ხელნაწერისათვის და, საერთოდ, ქრისტიანული არაბული ხელნაწერებისათვის, სახელდობრ:

1. თჱ შარბუტას ორი წერტილი არა აქვს.
2. ჰამზა არც ერთ პოზიციაში არ აღინიშნება. წარმოდგენილია მხოლოდ საყრდენი (ალიფი, ვავი, იოტა).
3. **ح** ნაწილაკი ყოველთვის იწერება ალიფით ( **ه** )
4. სახელები მრავლობით რიცხვში, ნაცვლად მოსალოდნელი სახელობითი ბრუნვისა, ირიბ ბრუნვაშია.
5. განუსაზღვრელი სახელები ირიბ ბრუნვაში არ ირთავენ ალიფს.

თუ მომდევნო სიტყვა იწყება ალიფით, წინამდებელ სიტყვაში მოსალოდნელი დაცვის ალიფი წარმოდგენილი არ არის. რადგან ეს უკანასკნელი თავისებურება სისტემატიურ ხასიათს არ ატარებს ჩვენი ხელნაწერის ფარგლებშიც კი, ამიტომ მხოლოდ აქ ვუშვებთ გამონაკლისს და ყველა საჭირო შემთხვევაში გამოცემულ ტექსტში შევგვაქვს დაცვის ალიფი.



سازمان اسناد و کتابخانه ملی  
جمهوری اسلامی ایران

### هذه قصة انيسه القديسه الخيره

كان بصر مره يقال لها انيسه وكان لها خمسة عشر  
 مدينه باقاليما ورثتهم من والدها . لانهم كانوا طوك البلد  
 وكانت هذه الجاربه وحيدتها فعيوا لها في حياتها تاج  
 من ذهب وقالوا لها يكون هذا التاج لك ليا ينقطع اسم  
 الطك منا ولكن الذي يتزوجك يكون ملك من بعدنا  
 كان قصرهم معشا با ٠٠٠ والعاج والنحاس وكانت جدرانها  
 صوره بالتمثيل / ٠٠٠ / النخل وانواع الصور .  
 فاما الجاربه فكانت مدمنه على قراءه كتب الله من ثلثه  
 ساطت من النهار الى تسعه ساطت طول ايامها وكنت هذه  
 الجاربه مزينه بانواع الجطل افضل من بنات العالم . وفي يوم  
 من ذلك وهي جالسه تقرا في بعض الكتب خطر على بالها  
 مع بكاء حار فكرت وقالت ان كان لله هوا ان يموت ولدك قبل  
 ان يزوجاني ولا اتع في هذا العالم الفان لاني اطلب الخلاص  
 فلم يكن الايام تلابل كما احب الله حثا توفيا والدلها في  
 وقت واحد وان الطوبانيه جنزتها وهي لابسه بياض وبعد  
 ما تبرتها لبست التاج وصارت الى الكنيسه فصلت ثما  
 انصرفت الى قصرها بفرح . فكانوا الناس باهتين منها وبهتوا  
 بها قائلين ما كان ينبغي لجاربه بكر من بنات الطك ان  
 تظهر حسنها والقديسه فط كانت تعد كلامهم .  
 وبعد ايام كثيره جلست تقرا في الانجيل از وافت  
 الموضوع الذي قال ربنا لذلك الغنى اذهب وبيع كل ما تملك  
 وادعه الى مساكين ليكون لك كنز في السما وان انيسه  
 الطوبانيه تتعدت وبكت وقالت ولى انى من صباى اقرا في

ما تطك لليتاما والارامل والى الحاجتهم واعتقت صيدها  
واماها وخرجت فقامت على باب قصرها فنزعت ثيابها والزناير  
الذهب الذى كان عليها وقلعت تاج الطك الذى كان  
على راسها ورمت بذلك كله وصارت الى باب القصر وقالت  
اخلف الغنم مع الخطيه ويكون معى المسيح وحده .  
فخرجت الطوبانيه ولم يلحقها شى البته من ذخايرها  
غير الانجيل فقط . وبقيت عربانه والانجيل على صدرها .  
وانها صارت الى مزبله فلقطت عنها خرق باليه وهم سترت  
عورتها وقالت ليس ينبغي لى ان اكون فى موضع اعرف فيه  
ليلا يمدحونى الناس ويقولوا هذه الذى اعقت العيب والاما  
وفرقت الاموال فاهل حب المسيح بحب ليس بهاتى ولكن  
اصير الى بلد لا اعرف فيه واكون غريبه ومما ط قلت لى  
كنت موسره لا يصدقنى انسان ولكن اتجانن واحقق ليلا  
ينجلونى الناس فاهلك بكرمتهم واصبر على الهزوا والضرب  
ولا اترافع لافى الخلا ولا فى الملا ولكن بمعرفه اكون  
فيما انا فيه .

عند ذلك خرجت الطوبانيه الى البريه سيره عده فراسخ  
عده فلما اصابها حر الشمس تغير حسنها لانها كانت مثل  
الزهر فلما لحقها السموم شوه به . كانت تمشى فى البريه  
و دم قدسيها يسيل من خشونه النبات . وكانت تقرا فى  
الانجيل وكانوا الحيوان يلبثوا الها مع دبابات الارض وطيور  
السطا وكانوا يقيموا عندها يسمعون قراتها من ثلثه ساطات  
الى تسعه ساطات . فاذا ما غلفت الانجيل ضمته الى صدرها





حَسْبُكَ فِي بَطْرَفَا الْحَيَاةِ فِي تَسْعَةِ سَاعَاتٍ بِلْتَمَسُونَ لَهُمْ مَعَا  
 مَعَاشٍ وَلَمْ يَكُونُوا يَتَّبَعُونَهَا كَثِيرًا وَلَكِنْ قَدَارَ تَسْعَةِ خَطَا  
 وَكَانُوا يَوَافُوا مَعَاشَهُمْ مَعِيَا مِنْ عِنْدِ اللَّهِ الْكُلِّ وَمَا كَانُوا  
 يَفَارِقُونَهَا . وَكَانَتْ الْقَدِيمَةُ تَتَغَدَّى بِقَلْبِ النَّخْلِ وَتَشْرَبُ مِنْ  
 مَا الْبَقَاعُ حَتَّى صَارَ لَوْنُهَا أَسْوَدَ .

فَقَامَتْ عَلَى هَذِهِ الْحَالَةِ أَرْبَعِينَ سَنَةً فَلَمَّا تَمَّتْ فِي الْبَرِيَّةِ  
 أَرْبَعِينَ سَنَةً قَالَتْ وَيْلَى أَنَا الْخَاطِئَةُ كَيْفَ أَنِي هَاهُنَا هَادِيَةٌ  
 مَنِيحَةٌ مَنَعْتَهُ أَكَلَهُ شَارِبُهُ كَمَثَلِ حَمَارِ الْوَحْشِ الَّذِي يَدُوسُ  
 الْعُشْبَ وَلَا يَشْبَعُ وَلَا يَسْبَعُ عَلَيْهِ رَقِيبٌ كَذَلِكَ وَأَنَا لَيْسَ أَحَدٌ يَقَاوِمُنِي  
 يَقَاوِمُنِي وَلَا يَكْلِمُنِي وَلَا يَحْزِنُنِي فَيَكُونُ لِي أَجْرٌ . فَإِنْ كُنْتُ  
 أَنَا أَنَا مَحْفُوظَةٌ عِنْدَمَا لَا أَرَا رَجُلًا فَإِنَّ رَجُلًا لِي مِنَ اللَّهِ .  
 وَلَكِنْ يَنْبَغِي لِي أَنْ أَذْهَبَ وَأَسْكُنَ دَهْرَ هَادِيَةٍ وَ أَهْتَمُّ  
 بِتَقْوَى وَأَكُونُ أَمَةً لِأَصْحَابِي وَأَغْسِلُ أَرْجُلَهُمْ وَأَبِيحُ التَّمَسُّنَ  
 وَالنَّصِيحِينَ وَقَوْمَ عَلَى الْغُرْبَاءِ وَأَصْبِرُ لِلْهَوَانِ مِنْ كِبِيرَتِهِمْ  
 وَصَفِيرَتِهِمْ وَاحْتِمَلَ الْعَارَ وَالْفَقْرَ مِنْجَلِ الْمَسِيحِ لِيَكُونَ لِي أَجْرٌ  
 قَدَامَهُ وَإِنْ صَعْتُ لَا يَعْلَمُوا وَيَكُونُوا يَقْرَعُونِي بِالرَّفِيقَةِ وَكَذَلِكَ  
 يَحِبُّ الشَّرَابَ وَأَخْدَمَ وَيُظَنُّونِي بِطَالِهِ وَأَسْهَرَ وَيَدْعُونِي تَائِبَةً  
 أَنْ لَمْ أَجُوزْ فِي هَذِهِ الشَّدَائِدِ كُلِّهَا فَلَيْسَ لِي قَدَامَ اللَّهِ ثَوَابٌ  
 عِنْدَ ذَلِكَ صَارَتِ الطَّوْبَانِيَّةُ إِلَى دَهْرٍ يُقَالُ لَهُ دَهْرُ الصَّفُوفِ  
 وَكَانَ فِيهِ ثَلَاثَةٌ رَاهِبَةٌ قَرَعَتْ الْبَابَ فَكَلِمَتُهَا عَجُوزٌ كَانَتْ  
 بِرَاهِبَةٍ لَهَا هَذَا صَارَتْ عَلَى الْبَابِ مَابَهُ وَعَشْرِينَ سَنَةً قَدْ نَحْنَتْ  
 مِنْ طَوْلِ الزَّمَانِ وَكَثُرَتْ السِّنِينَ قَالَتْ لَهَا الْعَجُوزُ لِمَا لَكَ  
 تَقْرَعِي عَلَى الْبَابِ يَا بِنْتِي لِمَ لَعَلَّكَ مَحْتَاجَةٌ نَوَاسِيكَ أَمْ أَنْتِ عَلَيْهِ  
 فَاصِلٌ لَكَ شَيْءٌ فَمَكَّمْتُ تَسَابُلَهَا أَسْبَحَهُ أَهَامٌ فَلَمْ تَرُدَّ عَلَيْهِا جَوَابًا  
 كَلِمَةً وَاحِدَةً قَالَتْ الْعَجُوزُ أَخَافُ أَنْ تَكُونَ هَذِهِ الْجَارِيَّةُ مَجْنُونَةٌ



وحسن وجهها بشهد طى ضاره وبخبال الشيطان لها ولكن  
 أرجلها منجل الله وادخلها فأربطها فى بعض هذه الميوت  
 الذى طى الباب لىلا يطيرها الشيطان فى هذه الجبال فأدخلتها  
 فى بيت وقيدتها بثكته قيود وقالت لها باسم الوحيد الذى ارتفع  
 طى العمود قد قيدتك بثكته قيوده وقوه الواحد تعينك وزهبت  
 فأطمت ريسه الدبر قابله باسيده فدىن جاره قد تغلب طيها  
 الشيطان جازت طى الباب وأنى خرجت مع قوه صلواتك وجذبته  
 من بدن العدوفا تمربنى ادخلها فقالت لها ريسه الدبر نعم  
 ادخلها بابتنى واغسلوا ارجليها كذلك بحب الله نياح الثقيلين  
 الأوساق . كذلك انتم فاغسلوا أرجل الغربا لىلا يصبر فبارهم طيها  
 مثل صدا الخطايا . فذهبوا الخوات ايها فجعلت نفسها مجنونه  
 ولم تعوا دخول موضع اخر فادخلوها بشده وارادوا اخذ الانجيل  
 منها فمقدروا طى ذلك لانها تجننت طيهم كانها ما تعرف ايش  
 يقال لها فقال بعضهم لبعض ترا ايش فى هذا الصحف الذى لا  
 تسلمه الى احد . اردوا اغسل رجليها وهى حاطته فلم تتركن  
 وكانت تتعلق بشياهم وكانوا يسلوها ولا ترد طيهم فلما نظروها  
 بهذا وشبهه قالوا لريسه الدبر بامه هذه الجاره تابعه  
 ولكن نجعلها فى بيت الخدمه ويفعلوا ذلك وفيه كانت تكلم  
 وتدخل وتخرج وكانت تخدم خدامتهم كهم وكانت تعجن  
 و تخبز للخوات كانها قد صحت من جنها وربط اخذت المعجين  
 فتدوسه بهرجليها كانها معتره وكانوا يضرنوها ويجرروها وكانت  
 فرحه القلب بذلك وكانت ربط حطت جره الط وتخرج تستقى  
 للغربا فى الطريق وفى الاحيان كانت تكسر الجره فى الدبر مث  
 مثل من قد طوده الشيطان وثلثه مرات فى الدبر كانت تكس  
 كف الدبر منجل الله بفرح وقلب نقى . وكانوا يضرهوا اذا

ادخلوا وبصروها اذا خرجوا وبمعروها . فمكثت على الحالة  
اربعين سنة في بيت الخدمة واربعين سنة اقامت في البرية  
تمام ثمانين سنة .

ذوباناريس المجاهد الذي كان محبوس في كرخ سنين  
عده تراها له ملك الله قايلا باذوباناريس قد حسنت  
خدمتك لللايكه وفرحت الربسا بسحرك وصلواتك من الا  
اخرج من حبسك واذهب تبارك من مره تتجانن وهى في  
اسكندريه المعروف بدير البنطيين . اذهب فانك  
تجد مره على راسها التاج . تلك افضل منك لانك هاهنا  
وحبك بالقرقرن العظيم وليس لك مع انسان مثل وتلك مع  
جماه كثيره تصارع ولم تدع قلبها قط يفارق الله وكل من  
معها يزدروا بها واما انت فجالس هاهنا وقلبك يدور في  
العالم . وانه قام وذهب الى البنطيين قبلوه بافضل  
القدس كساير القديسين وطلب الى ريسهم ان يبدلوه على  
دير النسا الرهبانيات كمثل القديس الذي قد تمتق في  
الرهبانيه وعبادتها . فلما ادخلوه الدير صلا وامر ان  
